სახალხო გაზეთი

№ 459 პარასკევი, 25 ნოემბერი, 1911 წ. წელიწადი მეოთხე. № 459

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის კარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. ხამკლოვიანოდ განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ ხალამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „ხორაპანი“-ში, მადათოვის ბულვარზე და ეღირება 4 მანეთად.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის კარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. ხიტოვოსა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მოჩხუბაია 11, ვარშავაში—ძარშალკოვსკის ქ. 130, ბერლინში—ბირეის მოედანი.

ზელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. ხალამოთი 5-დან 7-მდე.

ზელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი ძველი წერილები და კორესპონდენციები ხელ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნამუალდღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: სახალხის ქ., დ. ნ. ხარაჯიშვილის სახლი, მიხაილი მეზოდან

ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо[illegible]“ п. ящ. 190.

ცალკე ნომერის ყველგან ერთ შაურად

დამატებითი ნომერი (ყვირილა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

ᲛᲝᲒᲕᲐᲒᲝᲜᲔᲑᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲛᲬᲔᲠᲗ ᲠᲝᲛ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲓᲔᲒᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲒᲖᲐᲕᲜᲐ ᲔᲡᲙᲝᲚᲗᲐᲗ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲕᲘᲡᲐᲪ ᲮᲕᲔᲓᲠᲘ ᲤᲣᲚᲘ ᲐᲠᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲨᲔᲛᲬᲢᲐᲜᲘᲚᲘ.

თ-დი ალექსანდრე ივანეს ძე და მეუღლე მისი სოფიო პოანახეს ასული ჯაბახიშვილები, შვილებითურთ, რძლითა, და განსვენებულის საცოლო ელენე დავითის ასული ჩიჯავაძე გულითადის მწუხარებით აუწყებენ, რომ დღეს, პარასკევს, 25 ნოემბერს, 2 საათზე, რკინის გზის სადგურზე გადახდილ იქნება პანაშვიდი უფროოდ გარდაცვალებულის პეტერბურგის უნივერსიტეტის ფინანსთა სამართლის კათედრასთან დატოვებულის

თ. დავით ალექსანდრეს ძის ჯავახიშვილის

სულის მოსახსენებლად. ცხედარს წაასვენებენ დღესვე 3 საათის მატარებლით, სოფ. გრაკლამდის; დაკრძალვა მოხდება სოფ. ხოვლეში, კვირას, 27 ნოემბერს. გამოსვენება 11 საათზე. (1.947.1)

ელენე ჩიჯავაძე დედითა და დებით გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა, მეგობართა და ნაცნობთ, ძვირფას ლა დაუვიწყარ საქმროს

დათა ჯავახიშვილის

უფროვოდ გარდაცვალებას. ცხედარს წაასვენეაენ დღეს, 3 საათის მატარებლით, სოფ. გრაკლამდის; დაკრძალვა მოხდება სოფ. ხოვლეში, კვირას, 27 ნოემბერს, გამოსვენება 11 საათზე. (1—946—1)

ᲫᲛ. ᲖᲣᲑᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲡᲐᲮᲚᲘ

პარასკევს, 26 ნოემბერს,

ბარალზე ბაზლთან არსებულ ქართ. წარ. მმართ. წრის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი ორიგინალური პიესა

ᲛᲝᲠᲔᲕᲘ, დრამა 3 მოქმედ. ხიო ბენტურიშვილისა.

ამ პიესის ქ. ტფილისში პირველად დადგმის უფლება აქვს მხოლოდ ქართულ წრეს. ამ პიესისათვის ესტეტა ახალი დეკორაციები. მოწაწილეობ. მიიღებენ: ქ-ნი მარ. გოგოლაშვილი, გარე-ბანელი, ვ. წეწენავა; ბ-ნი მელრეგელი, ზენელი, ვ. გამყრელიძე, პ. ჭიაურელი, ჭანკვეტაძე და სხვა. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში დილის 12—2 ს და ხალ. 6—8 ს. ადგილების ფასი 50—5 კ. დასაწყ. საღ. 8 ს.

ᲐᲜᲝᲜᲡ: მზადდება წარმოსადგენად ახალი პიესა ირეთელის „ზოფლის გმირები“. მემდეგი წარმოდგენა გაიმართება 19 ნოემბერს.

ადმინისტ. ან. ჭიაბერაშვილი, მორიგ. წევრი ხახანაშვილი.

(2—1608—2) რეჟის. ალ. წუწუნავა.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲚᲣᲑᲘ

შაბათს, 28 ნოემბერს,

ქართულ თეატრში წარმოდგენილ იქნება ქართულად:

ი. ბ. ხარაჯიშვილის მონაწილეობით **ᲡᲔᲕᲘᲚᲘᲔᲚᲘ ᲓᲐᲚᲐᲥᲘ,** ოპ. 3 მ. და 4 სურ. თარგ. გ. გუნიასი.

დასაწყისი საღ. 8½ ს. ლოტბარობს ნ. გ. ქართველიშვილი.

ადგილების ფასი თეატრში. ლოჟები: ბენუარი 4 მ., ბელ-ეტაჟი—„ენ ფასე“ 3 მ., გვერდისა 2 მ., ლოტ 5 მ. პარტერი: 1 რიგი 2 მ., 2 და 3 1 მ.—50 კ., 4, 5, 6, 7 და 8—1 მ., 9 და 10 80 კ., 11, 12, 13 და 14—50 კ., დანარჩენი 40 კ. გალერეაში შეხვლა ყველასთვის ნელმისაწვდომია და კლუბში მეხასელელ ფასს არ ინდიან; ფასები გალერეაში ლოტერ. 3 მ., 1 რიგი 60 კ., 2, 3, 4 და 5—40 კ., 6, 7 და 8 კ., დანარჩენი 20 კ. ხტუმრები იწდიან: კაცი 50 კ., ქალი და ხტუდ. 25 კ.

წარმოდგენის შემდეგ ᲚᲝᲢᲝ.

(3—1586—2)

ᲡᲐᲑᲣᲠᲗᲐᲚᲝᲖᲔ მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებული ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაკრებად ოთხ-კუთხ საკენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვადა, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ.—1147—181

ᲔᲥᲘᲛᲘ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡᲐ ᲬᲐᲛᲚᲝᲒᲐ ᲭᲚᲔᲥᲘᲡᲐ ბერლინის უნივერს. **Г. Г. ᲛᲔᲒᲠᲐᲒᲘᲐᲜᲪᲘ** ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ᲢᲣᲑᲔᲠᲙᲣᲚᲘᲜᲘ.** შინაგან ხმენულებით ავადმყ. მიიღება ყოველ დღე დილ. 9—11 საათამდე და ხალამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, N 10. ტელეფ. 792. (თ 100—1534—32)

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

ᲒᲐᲤᲐᲠᲗᲝᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲡᲢᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐᲐ

ᲛᲝᲛᲬᲧᲝᲑᲘᲚᲘ 50 ᲡᲐᲤᲝᲚᲘᲗ.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7, „ვეტცელის“ სასტუმროსთან.

ტელეფონი № 590.

სტაციონალურ ავადმყოფების შიღება შეიძლება ყოველ წამს, მხოლოდ გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმი-ქალი ვერბიცკაია-ფირადოვიჩი მეფლიშვილი. ნ. ვ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

ე. ე.—სამშობიარო და ქალის სნეულ. ყოველ დღე 11—12 ს.

ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ Შ. Ა. ნერვ. და ელექ., ხაბათ., 10½—11 ს.

ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲐᲜᲘ Რ. ს.—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

ᲛᲐᲓᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ Გ. Გ. შინ., სამშ. და ხაბ. 10—12 ს.

ᲭᲘᲥᲝᲕᲐ Თ. Ბ. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

ᲛᲐᲜᲬᲕᲔᲢᲝᲕᲘ Გ. Შ. შინ., ორშ., ოთხშ., პარასკ. 2—3 ს.

ᲛᲣᲮᲜᲔᲓᲘᲨᲕᲘᲚᲘ Გ. Ბ.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ საათ.,

ᲨᲐᲠᲐᲕᲣᲚᲘᲐᲜᲘ Შ. Ა.—კანისა და ვენერ ყოველ დღე, 1—1½ ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი ნამლოგა „606“-ით (Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიური ლ და ბაქტერიოლოგიური ლ ბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაცია, კონსულტაცია, ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათი. საფასურით. (წ.—1089 616)

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲚᲣᲑᲘ

პარასკევს, 25 ნოემბერს,

ᲡᲘᲜᲔᲛᲐᲢᲝᲒᲠᲐᲤᲘ, ს. ო. ივანიცკაიასი. დასაწყის. საღ 8½ ს.

სინემატოგრაფის ძმდეგ **ᲘᲐᲤᲘ ᲚᲝᲢᲝ.**

დასაწყისი საღ. 9½ ს. (1—1583—1)

ᲥᲕᲐᲨᲕᲔᲗᲘᲡ ᲕᲐ. ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ

ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘ

აუწყებს ამა ეკლესიის მრევლს, რომ კვირას, გიორგობისთვის 27-ს, წირვის შემდეგ, დანიშნულია

ᲛᲜᲐᲗᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲐᲜᲘ. (3.945.1)

ᲕᲐᲒᲖᲚᲘᲡ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

კარგად ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთთვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

ე. ხ. ვაშაკაძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

ხ. ნ. დახასამიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

ᲑᲐᲠᲐᲗᲘᲐᲜᲘ—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—11½.

Შ. Ა. ᲑᲐᲥᲔᲚᲐᲫᲔ—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

Ნ. Შ. ᲛᲔᲚᲔᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყველა ვილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კანონიერებული მოთხოვნებით.

ᲬᲐᲛᲚᲝᲒᲐ „606“-ᲘᲗ.

(წ.—1090—220)

ᲔᲥᲘᲛᲘ Ვ. ᲛᲣᲡᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9—11 საათ. დიდი მთავრის ქუჩ., N 67, სახლი ხვანიშვილისა.

ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡᲐ

Ი. Ე. ᲗᲘᲙᲐᲜᲐᲫᲔ

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადუხტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადუხტაქრო და სამარდ ორგანოთა (გენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის. კერძო ინ ქ. სახ. N 18, თავ. ვაჩნაძის, ფდიგერთა გენერალურ სახოგადოების მალაზიის პირდაპირ.

სამარდ ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ წუთმაბათობით და კვირაობით მიიღებიან. (თ.—1591—50)

ᲔᲥᲘᲛᲘ Ს. ᲓᲘᲓᲘᲫᲘᲡ მაგივრად მის კაბინეტში ᲓᲔᲑᲣᲚᲝᲑᲡ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲔᲑᲡ

ᲔᲥᲘᲛᲘ Გ. ᲚᲝᲚᲝᲒᲔᲠᲘᲫᲔ

ყოველ-დღე საღამობით 6—8 ს. ელექტრონიანი ბედის ქუჩა N 92, ტელეფ. N 1141. წამლობა ფოსფაგიდით და ატოქსილ კაკოდილატით. (25—1593—6)

ᲔᲥᲘᲛᲘ Ჯ. ᲐᲠᲓᲐᲖᲘᲐᲜᲘ შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (ბებიაალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი —ქარები).

ტფილისი, ალექსანდრეს ქუჩა, N 3, დილის 9—12 ს. საღამოს 5—7. (15.899.22)

ᲔᲥᲘᲛᲘ Გ. Ნ. ᲛᲐᲒᲐᲩᲘᲐᲜᲘ შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფ. სპეციალისტი-ექიმები შემდეგ დროს: მეღლიაშვილი. ნ. ვ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

ᲛᲔᲦᲚᲘᲐᲫᲔ Ш. Ა.—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე 12½—1 ს.

ᲝᲠᲒᲛᲔᲠᲒᲘᲩᲘ ნ. ს.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ყოველ დღე 12—1 ს.

ᲤᲘᲠᲐᲓᲝᲕᲘ რ. ბ. ქირურ. ცისტოსკოპია და საშარდე მილების კატეტერ. ყოველ დღე 12—1 ს.

ᲮᲐᲛᲑᲐᲚᲔᲕᲩᲘ Გ. Ვ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

ᲮᲣᲓᲐᲒᲝᲕᲘ Ა. Ა. ხამშობიარო და ქალის 12—1 ს.

ᲗᲘᲙᲐᲜᲐᲫᲔ Ე. Ე.—ქალის სს. და სამშობიარ., ყოველ დღე 1—2 ს.

ᲤᲔᲓᲝᲠᲝᲕᲘ Ე. Გ.—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე გარდა, კვირისა და ოთხშაბათისა 12—1 ს.

ᲬᲐᲛᲚᲝᲒᲐ „606“-ᲘᲗ

ᲔᲥᲘᲛᲘ Ა. Ნ. ᲓᲘᲐᲡᲐᲛᲘᲫᲔ კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—5 ს. საღამ. 6—7 ს. ᲗᲣᲗᲛᲐᲑᲐᲗᲝᲗᲘᲗᲘᲗ მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ქ. N 5 სახლი გაბაშვილისა.

ᲔᲥᲘᲛᲘ Ვ. Ა. ᲛᲘᲥᲔᲚᲐᲫᲔ იღებს ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ ᲓᲐ ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲗᲐ ᲜᲔᲚᲜᲣᲚᲔᲑᲘᲐᲜ ავადმყოფთ ყოველ დღე ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲗᲘ 5 ᲜᲐᲮ.—6 ᲜᲐᲮ. ᲮᲐᲚᲐᲗᲘᲡᲓᲘᲗ

ᲔᲥᲘᲛᲘ Ე. ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ იღებს შინაგან ნელნულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., ᲮᲐᲦᲐᲛᲝᲗᲘ 5—7 ს. ᲑᲐᲥᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ N 12 (Თ—42)

ᲔᲥᲘᲛᲘ Ნ. Ტ. ᲛᲣᲚᲘᲜᲘ ᲣᲤᲚᲘᲡ, ცხვირისა და ᲧᲣᲠᲘᲡ ავადმყოფების მიღება დილის 12—1 საათამდე საღამოს 6—8-მდე. სერგეევის ქ. 3. (თ.—1545—32)

ᲔᲥᲘᲛᲘ ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲢᲘᲡᲐ ᲜᲘᲜᲝ ᲠᲪᲮᲘᲚᲐᲫᲔ მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს. მდე და ᲮᲐᲦᲐᲛᲝᲗᲘ 5—7 ს. ᲐᲓᲠᲔᲡᲘ: ᲝᲚᲝᲦᲝᲑᲘᲡ ᲥᲣᲩᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲮ. N 5.

ᲔᲥᲘᲛᲘ ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲢᲘᲡᲐ ᲘᲝᲡᲔᲑ ᲖᲐᲥᲐᲠᲘᲐᲡ ᲫᲔ ᲙᲐᲜᲓᲔᲚᲐᲙᲘ

მიიღებს დილით 9-დან 2-მდის და ᲮᲐᲦ. 4-დან 7-მდის. სწამლობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და სხვას ნელოგნურ კბილებს. ტფილისი, მიხაილოვის პროსპექტი, N 7. (50—1559—15)

ᲡᲐᲣᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝ ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲘ

1.

ტფილისის საქალაქო არჩევნებმა ბევრი ოამ ისეთი გამოარკვია, რ ს პირუთვნელ დაფასებას მხოლოდ შემდეგში თუ მოახერხებს დამშვიდებული მკვლევარი. თვით საარჩევნო ბრძოლის პროცესში, როდესაც ათასნაირი სურვილი იხლართება ერთმანეთში, როდესაც მოწინააღმდეგეთა მსჯელობა მიმდინარე ბრძოლის გავლენით ტენდენციურ ხასიათს იღებს, დამშვიდებული შეფასება ყველა იმისა, რაც მოხდა, შეუძლებელია. დიდი-ხანია კამათი სწარმოებს სხვა და სხვა ჯგუფთა შორის. ნაციონალიზმი, შოვინიზმი, დემოკრატიზმი, კონსერვატიზმი,—ყველა ეს ცნებანი ისე არეულ-დარეულად და წარა-მარა იხმარება, რომ პირდაპირ შეუძლებელი ჰხდება გამოძებნა რეალურ შინაარსისა, რომლის გამოხატვაც ჰსურთ ამ ცნებებით. საქალაქო არჩევნები და ის კამათი, რომელიც დღესა სწარმოებს ამ არჩევნების გამო, გარეშე მაყურებელზე ისეთს შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს სხვა და სხვანაირ ჯგუფის მოწინააღმდეგეთ მხოლოდ ერთმანეთის დამარცხება აინტერესებთ. ასეთი მიმართულება კამათისა ადვილი ასახსნელი და გასაგებია. ის, ვინც იბრძვის, ვინც ბრძოლის პროცესში აქტიურ მონაწილეობას იღებს, დამფასებლად ვერ გადაიქცევა. დაფასებისთვის საჭიროა ისეთი ადამიანი, რომელიც მხოლოდ შორიდან უცქერის მოვლენებს. მხოლოდ ამისთანა პირობებში მოხერხდება ობიექტიური შეფასება მოვლენებისა, რომელთაც ფრიად დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვთ.

საზოგადოებრივ ცხოვრების განვითარება რმდენად რთულ პირობებში მიმდინარეობს, რომ ხშირად იგი პრესაში სრულს გამოსახულებას ვერ იჩენს. პრესა ძალიან ხშირად მხოლოდ ზედა-პირულად გადმოგვცემს იმას, რაც ცხოვრების გულის სიღრმეში სწარმოებს. ამასთანავე ერთად ძალიან ხშირად ცხოვრება გონების მიერ გამოპეხრაკებულ დირექტივებს არ ემორჩილება. ცხოვრებას თავისი ლოღიკა აქვს, და პირ-უთვნელ მკვლევარის დანიშნულებაც იმაში მდგომარეობს, რომ ამ ლოღიკას ალღო აუღოს. ამისთანა შეფასების დროს გამოირკვევა, რომ ხშირად დიდი კავშირი არსებობს ისეთს მოვლენათა შორის, რომელნიც ერთის შეხედვით თითქოს ერთი მეორის მოწინააღმდეგე მიზეზებით არიან წარმოშობილნი. ასეთს დასკვნამდე მივალთ იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტულ მოვლენათა შეფასებისა და ახსნა განმარტების დროს ვეცდებით იმ პირველ მიზეზის გამოძებნას, რომელმაც ესა თუ ის მოვლენა წარმოშობა. ხშირად ბევრი მოვლენის ახსნა შეუძლებელი გახდება, თუ არ ვიპოვეთ ის საზოგადო მიზეზი, რომელიც მრავალ მოვლენებს წარმოშობს. ასეთი განსაზოგადოებრივება მოვლენებისა ახალს შუქს მიაყენებს მრავალ მოვლენებს, რომელნიც ჩვენს ცნობიერებაში დაქსაქსულად არიან აღბეჭდილნი. ამისთანა განსაზოგადოებით მტკიცე ლოღიკური კავშირი დამყარდება მოვლენათა შორის, რომელნიც იმ დრომდე თითქოს ლოღიკურ მთლიანობას იყო მოკლებული.

ტფილისის საქალაქო არჩევნებს და განსაკუთრებით კი იმ კამათს, რომელიც ამ არჩევნების გამო გაიმართა ქართულს პრესაში, სწორედ ამ საზოგადო თვალსაზრისით გვინდა შევხედოთ. საგაზეთო წერილებსა და საარჩევნო ამბებს ჩვენთვის ამ ჟამად იმდენადა აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც საშუალებას გვაძლევს ამ საზოგადო თვალსაზრისით შევხედოთ საგანს. სხვაფრივ შეფასება ამ მასალისა სხვებისთვის მიგვინდვია.

ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში იბრძვის ორ-გვარი აზროვნება. თვითოეული მათგანი პრაქტიკულ ცხოვრებაში მრავალ-გვარ სახეს იღებს, გვევლინება სხვა-და-სხვანაირად, მაგრამ თავისი წარმოშობით ერთნაირ ფსიხოლოგიურ საფუძველზეა აშენებული პირველი მიმდინარეობა თანამედროვე მდგომარეობას ურიგდება და მხოლოდ ისა ჰსურს, რომ რაც შეიძლება უკეთესად მოაწესრიგოს ცხოვრება განსაზღვრულ ფარგლებში, რომელთა გადალახვაც მას საჭიროდ არ მიაჩნია. მეორე მიმდინარეობას შეუძლებლად მიაჩნია ნაყოფიერი ეროვნული მუშაობა და უზრუნველყოფა ეროვნულ ინდივიდუალობისა, თუ დღევანდელი მდგომარეობა შეუცვლელი დარჩა. ბრძოლა ამ ორგვარ აზროვნებისა დედა-ძარღვია მეცხრამეტე საუკუნის საზოგადოებრივ ცხოვრებისა. ჩვენი მოწინავე წოდება, თავად-აზნაურობა, თავიდანვე ამ ნიადაგზე იდგა. იგი არამც თუ მოქმედებდა, თანახმად ამნაირ აზროვნებისა, იდეოლოგიაც კი შეჰქმნა. მხედველობაში თუ არ მივიღებთ 1832 წლის შეთქმულებას, რომელიც რამდენიმე მეოცნებე ინტელიგენციის საქმედ უნდა ჩაითვალოს, მთელი თავად-აზნაურობა გამსჭვალული იყო ეროვნულ იდეოლოგიით, რომელიც მამულიშვილობისა და არსებულ მდგომარეობის შედეგებში ჰხედავდა საქართველოს ხსნასა. მთელი თაობა თავის პრაქტიკულ მოქმედებას ამყარებდა ამ მოსაზრებაზე. ეხლანდელი თავადაზნაურობა შეუკნებლად მისდევს იმ ტრადიციებს, რომელნიც წინა-ართა შეგნებულმა აზროვნებამ წარმოშობა. წინაპართათვის შესისხლ-ხორცება მამულიშვილობისა და არსებულ პოლიტიკურ მდგომარეობისა პოლიტიკური მრწამსი იყო, მათ შთამომავალთათვის იგი მხოლოდ ტრადიციაა.

ამ თავად-აზნაურულ ფსიხოლოგიას ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მეცხრამეტე საუკუნის ისტორიის მკვლევარი გვერდს ვერ აუქცევს ამ შესანიშნავ დროს, რომ. დესაც ისახებოდა თავად-აზნაურული აზროვნება. ამ აზროვნებაზე ალიზარდა არა მარტო თავად-აზნაურობა, არამედ ინტელიგენციის ის ნაწილიც, რომელსაც მჭიდრო კავშირი ჰქონდა თავად-აზნაურობასთან როგორც განსაზღვრულ ტრადიციებზე აღზრდილ წოდებასთან. პრაქტიკული საქმიანობა ამ წოდებისა გაშუქებული იყო არა ეროვნულის იდეალით, არამედ იმ მოსაზრებით, რომ ერთად-ერთი ხსნა მხოლოდ იმ მდგომარეობაშია, რომელშიაც საქართველო იმყოფება. დიმიტრი ყიფიანი კეთილშობილი მამულიშვილი იყო, დამცველი საქართველოს ინტერესებისა, მაგრამ ისიც ამ ნიადაგზე იდგა და სცდილობდა შეერთებინა ისეთი რამ, რაც არსებითად შეუერთებელია.

თავად-აზნაურულ აზროვნებასა და მოქმედებას დაუბირისპირდა ახალი თაობა, რომელმაც ახალი მრწამსის ძებნა დაიწყო. ჩვენ ისტორიას არა ვსწერთ, და ამიტომ გვერდს აუქცევთ ყველა იმ საზოგადოებრივ ფგუფებს, რომელნიც მეცხრამეტე საუკუნეში მოქმედებდნენ. მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ მხოლოდ იმ ჯგუფზე, რომელთაც მწერლობაში „მესამე „დასელები“ ეწოდება. ამ დასმა დიდი ევოლუცია განიცადა. ამ ევოლუციის გასათვალისწინებლად სპეციალური შრომა შეიძლება დაიწეროს, მაგრამ არც ეს შეადგენს დღევანდელს ჩვენს მიზანს. ჩვენ გვაინტერესებს საზოგადო ხასიათი ამ „დასისა“, რომლის ლოღიკურ გაგრძელებას დღევანდელი „მნათობი“ შეადგენს.

განსაკუთრებული, დამახასიათებელი თვისება ამ დასისა ის არის, რომ მან არამც თუ საზოგადოდ პროგრესის, არამედ კერძოდ ეროვნულ განვითარების საფუძვლადაც დემოკრატია დასახა. რანაირი მოვლენები ჰიაჩნდათ დემოკრატიულად, რანაირ კონკრეტულ ფორმებში ისახებოდა დემოკრატიის მისწრაფება,—ამის გამორკვევა მხოლოდ მაშინ მოხერხდება, როდესაც „მესამე დასის“ ევოლუციას შევისწავლით. მაგრამ ამას ჩვენთვის ამ ჟამად არც აქვს მნიშვნელობა. ჩვენთვის საინტერესოა მხოლოდ ის, რომ „მესამე დასელები“ და მათი მემკვიდრენი უპირისპირდებოდნენ „ძველ თაობას“, როგორც დემოკრატები. „მესამე დასელების“ წარმოდგენით, ძველი თაობა მთელს თავის იმედებს ამყარებდა ქართველ ხალხის შეძლებულ ნაწილზე. ამიტომ მათი აზროვნება იყო აზროვნება ფეოდალისა, რადგანაც შეძლებულ ნაწილის უმრავლესობას თავად-აზნაურობა შეადგენდა. „მესამე დასელები“ კი თავის იმედებს ამყარებდნენ დემო-

კრატიზზე, რომელიც მოქალაქობრივმა ცხოვრებამ წარმოშობა. ეს იყო ცენტრი უკმაყოფილებისა ძველს თაობასა და „მესამე დასელთა“ შორის. დროთა მიმდინარეობით, ეს უთანხმოება გაიზარდა შინაარსით. განმანთავისუფლებელმა მოძრაობამ ახალი ელემენტი შეიტანა ამ უთანხმოებაში. „მესამე“ დასელთა“ მემკვიდრეებმა მიზნად დაისახეს უფლებრივი ემანსიპაცია დემოკრატიისა. ძველი თაობა თავისი სურვილებით ისე შორს არ მიდიოდა, როგორც „მესამე დასელთა“ მემკვიდრენი. ესეც აღრმავებდა უკმაყოფილებას. მიუხედავად ამისა, არის ერთი გარემოება, რომელიც ერთს ხაზზე აყენებს, ჩვენს თვალსაზრისით, როგორც ძველი თაობის წარმომადგენლებს, ისე „მესამე დასელთა“ მემკვიდრეებს.

შეხედულება, რომ ქართველ ეროვნულ ცხოვრების განვითარება უნდა სწარმოებდეს განსაზღვრულ ფარგლებში, აკავშირებს „მესამე დასელთა“ მემკვიდრეებსა და ძველ თაობას. მიუხედავად იმ დრმა უფსკრულისა, რომელიც გათხრილია მათ შორის, ორივე ჯგუფს აერთებს ეს საერთო შეხედულება. ეროვნულის თვალსაზრისით, ერთნიც და მეორენიც ერთსა და იმავე ნიადაგზე სდგანან. ეროვნულის იდეალის თვალსაზრისით მათ შორის არსებითი განსხვავება კი არ არის, არამედ რაოდენობითი. „მესამე დასელთა“ მემკვიდრენი უფრო შეტს უფლებებს მოითხოვენ დემოკრატიისთვის, ვიდრე ძველ ტრადიციებზე აღზრდილ თაობას შეუძლიან მოითხოვოს. პოლიტიკურ-ეროვნული აზროვნება კი ერთნაირია.

„მესამე დასელთა“ მემკვიდრენი არა სცილდებიან იმ საზღვრებს, რომლებიც საქართველოს დაუდო ისტორიულმა განვითარებამ სწორედ ისევე, როგორც ძველი თაობა არა სცილდებოდა. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ „მესამე დასელთა“ მემკვიდრეებს ჰსურთ იმ პირობებში, რომელშიაც დღეს საქართველო იმყოფება, დემოკრატიის უფლებები maximum ამდე აიყვანონ მაშინ, როდესაც ძველები minimum-ით კმაყოფილდებიან.

თვით „მესამე დასელთათვის“ ეს პრობლემა არ არსებობდა. ისინი თავის მისიას იმაში ხედავდნენ, რომ იცავდნენ ახლად შობილ დემოკრატიას. საქართველოს ხსნას ისინი ამ დემოკრატიაში ჰხედავდნენ „მესამე დასელთა“ მემკვიდრეებმა კი მათს აზროვნებაში ახალი შინაარსი შეიტანეს და საქართველოს ბედ-იღბალი მთელ რუსეთის ბედ-იღბალს დაუკავშირეს. ამ გზით მიდიან დღემდის „მესამე დასელთა“ მემკვიდრენი. საქართველოს დღევანდელ მდგომარეობას ურიგდებიან როგორც მომხდარ ფაქტს, და ყოველ თავის ნაბიჯსაც ამისდა მიხედვით ჰზომავენ. გარეშე ამ აზროვნებისა მათ მოქმედება არ შეუძლიანთ. იგი ქვა-კუთხედი, რომელზედაც აშენებულია მთელი მათი მოქმედება.

„მესამე დასელთა“ მემკვიდრეების პოზიცია დიამეტრალურად ეწინააღმდეგება ძველი თაობის პოზიციას, მაგრამ, ეროვნულის იდეალის თვალსაზრისათ, ორივენი ერთი და იგივე კატეგორიისა. ერთისთვისაც და მეორესთვისაც საქართველოს დღევანდელ პოლიტიკურ მდგომარეობას სავალდებულო ხასიათი აქვს. ერთნიც და მეორენიც ყოველ გვარ მოვლენას ამ ვალდებულების თვალსაზრისით უცქერიან და თავიანთ მოქმედებასაც ისეთს ხასიათს აძლევენ, რანაირსაც ეს სავალდებულო პოლიტიკური მდგომარეობა უკარნახებს.

ბ. ხარელი.

სახელმწიფო სათათბირო

დეპეშები

23 ნოემბერი

თავმჯდომარეობს თ-დი ვოდკინსკი.

კითხულობენ განსახილველ საგანთა სიას, სხვათა შორის, მართლმადიდებელთა მრევლის და სამღვდელოების შენახვის საქმის მოწყობის მოსაზრებას, რომელიც 45 დეპუტატს შეუტანია.

სიხადინო. პოლონეთის ქალაქების მმართველობის შეცვლის კანონ-პროექტის საბუთებს აცნობს სათათბიროს. ყველა ამომრჩევლები საჯგუფად იყოფა: რუსნი, ებრაელნი და დანარჩენნი ძცხოვრებნი. არჩევნები ბარათებით იქნება. საქმის წარმოების დროს რუსული ენა უნდა მეფობდეს; კამათი შეიძლება პოლონურ ენითაც, მაგრამ თავმჯდომარემ იგი უნდა სთარგმნოს, თუ ყველა ხმოსანს არ ესმის პოლონური. საბჭოს დათხოვნა შეუძლიან უმაღლეს ბრძანებას.

სდგილობრივ საქმეთა მმართველობის შფრთხი აცხადებს, მუხლობრივ წაკითხვის შემდეგ გამოგეკამათებითო. ბენიგენსენი ოქტომბრისტების სახელით კანონ-პროექტს სიხარულით ეგებება. **გრაბსკი** პოლონელთა კოლოს სახელით ლაპარაკობს. თუმცა პოლონელები მეტს მოელოდნენ, მაინც არ გვინდა კანონ-პროექტის დაყოვნება და შესწორება არ შეგვაქვსო. **გრაფი უგროფეტ** პროგრესისტების სახელით მომხრეა კანონ-პროექტისა, თუმცა ბევრი ნაკლი აქვსო. **შნეპენი.** კადეტები მუხლობრივ განხილვას მოვითხოვთ, იქნებ რამე საქმიანი შესწორება ჩავურთოთ.

ბუდატი. ეროვნულ კურიებს შუღლისა და მტრობის შემქმნელს უწოდებს. **მოლაპარაკე** მოითხოვს საყოველთაო საარჩევნო უფლებას და შინაურ საქმეებში სახმარებლად პოლონური ენის ხმარების უფლებას.

ტიმოშკინი სიხარულით ეგებება კანონ-პროექტს. **ბელოუსოვი** სოც.-დემოკ. სახელით ლაპარაკობს და წინააღმდეგია კანონპროექტის მუხლობრივ განხილვისა

მუხლობრივ განხილვის საჭიროება გადასწყვიტეს.

პირველი მუხლი მიიღეს **გრაფსკის** შესწორებით, ორიდან ვიდრე ხუთამდე უკამათოდ. მეექვსე მუხლი მიიღეს. შეიტანეს წინადადება, რითაც მოითხოვენ ამ კანონ-პროექტის თაობაზე მსჯელობის ჯერჯერობით გადადებას და პარასკევსა და შაბათს „ხოლმშჩინის“ გამოყოფის კანონ-პროექტის განხილვას, ამის წინააღმდეგია **ბუდატი** და **შინგარიოვი**; მომხრე—**ეპისკოპოსი ვლადიმერ** და **ბარონი ჩერკასოვი.**

(შემდეგი იქნება).

სახელმწიფო საბჭო

დეპეშები

კოდუბეევი თავმჯდომარეობს.

განაგრძობენ შენობის აგების უფლების კანონ-პროექტს. კანონ-პროექტის მეორე ნაწილს განიხილავენ, რაც ეძღვნება ქონების დაქირავების ხელშეკრულების ლიკვიდაციის წესს შეეხება. მიღების წინააღმდეგია **სუბოტინი, ოდიზარი** და **ფურნოვი.** მომხრენი არიან: **კობიდინსკი, გრიმმი, შრეიბერი, ოფროსიმოვი,** მეორე ნაწილს იცავს **შინაგან საქმეთა მინისტრის** თანაშემწე **დოკოშინი. კოგოდეკსკი** მომხრეა ნაწილისა. მეორე ნაწილი უარჰყვეს 82 ხმით 43 წინააღმდეგ.

უარჰყვეს აგრეთვე მესამე ნაწილი, როგორც მეორე ნაწილთან მჭიდროდ დაკავშირებული. მეოთხე ნაწილი, რომელიც კანონის მთელ იმპერიაში შემოღებას თხოულობს, გარდა პოლონეთისა და ბალტიის მხრის გუბერნიებისა, სათათბიროს რედაქციით მიიღეს. კანონ-პროექტი კომისიას გადაეცა. შემდეგი სხდომა 25 ნოემბერს.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘ

◆ **საქალაქო არჩევნები.** ექიმმა ლ. ბ. ხოსროევმა ქალაქის გამგეობას სურვილი განუცხადა ხმოსნად ასარჩევად ყუთის დადგმისა.

— ექიმმა ი. გ. მელიქოვმა ყუთის დადგმაზე უარი განაცხადა.

— ქალაქის გამგეობამ უყურადღებოდ დასტოვა ავლაბრელთა თხოვნა, რომელნიც არჩევნების მოხდენას ავლაბრის კლუბის მაგივრად არაქსიანისეულს თეატრში თხოულობენ.

◆ **საარჩევნო სამზადისი.** დღეს, საღამოს 5 საათისთვის, ამომრჩეველთა „ახალ ჯგუფის“ ბიურო მეხუთე უბნის ამომრჩეველთა საერთო კრებას იწვევს. კრებამ არჩევნებთან შეკავშირებულ საკითხთა შორის უნდა განიხილოს საკითხიც სახმოსნო კანდიდატთა სიის შესახებ.

◆ **ტფილისის უნივერსიტეტი.** როგორც მკითხველთ ვაუწყეთ, სახალხო განათლების მინისტრს მინისტრთა საბჭოში წინადადება შეუტანია ტფილისში უნივერსიტეტის გახსნისა ფიზიკო-მათემატიკურ ფაკულტეტით. ამის გამო 23 ნოემბერს შეერთებული კრება ჰქონდათ ქალაქის საბჭოს საუნივერსიტეტო კომისიასა და ქალაქის გამგეობას. კრებამ საჭიროდ დაინახა, არჩეულ იქმნას საგანგებო დეპუტატთა სხვა და სხვა დაწესებულებისა და წოდების წარმომადგენლებისაგან და პეტერბურგს გაიგზავნოს შესაფერი შუამდგომლობის აღსაძრავად.

◆ **თავდაცემა სასულიერო სემინარიის ეკონომზე.** 19 ნოემბერს, საღამოს, უცნობნი თავს დაეცნენ, როგორც ეტყობა, გაძარცვის განზრახვით, სემინარიის ეკონომს ნ. ბ. დროზდოვს, რომელიც სემინარიის შენობაშივე სცხოვრობს. უცნობებმა ეკონომს ზარი დაურეკეს. დროზდოვმაც კარი გაუღო. კარებში უცებ ორი უცნობი შეეგება: ერთს პირსახეზე ხელსახოცი ეფარა და მოსწავლის ქუდი ეხურა, ხოლო მეორე—ყაბალახში იყო გამოხვეული. ერთმა უცნობთაგანმა დროზდოვს რევოლვერი მიუშვირა და დაუძახა: „ხელები მაღლა ასწიეო“. ამის შემდეგ უცნობნი ეკონომის ბინაზე შევიდნენ, საიდანაც დროზდოვმა გამოქცევა მოასწრო. გამოქცევის დროს მას ერთმა უცნობთაგანმა რევოლვერი ესროლა, მაგრამ რაკი ააცდინა, უცნობებმა ოთახის კარები ჩაიკეტეს და, რადგან შეპყრობისა ეშინოდათ, ფანჯრიდან გაიხტნენ და საბურთალოსაკენ გაიქცნენ დასამალად. უცნობებს ოთახში დარჩათ ყაბალახი და ქუდი წარწერით: „ევგენი კაჭარავა“. დაუყოვნებლივ პოლიციას ეცნობა ეს ამბავი. მოიყვანეს მაძებარი ძაღლები, რომელნიც ოთახიდან პირდაპირ საბურთალოსაკენ გაიქცნენ და ერთს დუქანში შევიდნენ, სადაც რამდენიმე წამის წინად პოლიციას ოთხი უცნობი შეეპყრო. ძაღლები დუქნიდან გამოვიდნენ და პირდაპირ პირველ საპოლიციო უბნის სამმართველოში მივიდნენ, სადაც იყვნენ შეპყრობილნი პირნი. დაჭერილების ვინაობა გამოირკვა. აღმოჩნდნენ: სემინარიის პირველ კლასის მოსწავლენი ძმანი ევგენი, აპოლონი და ვასილ კაჭარავანი და სემინარიისავე მესამე კლასის მოსწავლე არქიპოს იოსავა. შეპყრობილი ეკონომს დროზდოვს აჩვენეს და მათში იცნო, როგორც თავდამცემი, აპოლონ კაჭარავა. სასტიკი გამოძიება სწარმოებს.

◆ **ქალაქის საატეო-საბალნო კომისია** და ქალაქის გამგეობას დღეს შეერთებული კრება ექნებათ. უნდა გადასწყვიტონ საკითხი: მიეცეს თუ არა იჯარით 100 დესეტინა საქალაქო მიწა სომხურ სამეურნეო საზოგადოებას.

◆ **ნავთლულის განათება.** 1912 წლის 1 ნოემბრიდან ნავთლულს ელექტრონით განათებენ.

◆ **ნორმალური დასვენება.** ქალაქის საქმეთა საკრებულომ განიხილა და დადგინა, შესასწორებლად ქალაქის გამგეობასვე დაუბრუნოს პროექტი სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებათა მოსამსახურეების ნორმალურ დასვენებისა.

◆ **ტრამვაის ვაგონები** ხშირად ჩერდებიან ელექტრონის ძალის უქონლობისა გამო. ამიტომ ქალაქის გამგეობამ ინჟენერს კოგნოვიცკის დაავალა, გამოიძიოს რა მიზეზი იწვევს ელექტრონის ძალის შესუსტებას.

◆ **ტფ. ყასბებმა** ხელ-ახლა (მესამედ) სთხოვეს გუბერნატორს, დავალოს ქალაქის გამგეობას, საცდელად საქონელი დაჰკლას და იმის მიხედვით ხორცის ნახრი დააწესოს. ყასბები ამბობენ, ყარსსა და ალექსანდროპოლში, საიდანაც აქ მოდის საქონელი, ძროხის ხორცი 12 კაპ. ჰდირს, ტფილისში კი 10½ კაპ.

◆ **საბავშვო საავადმყოფოს** შენობის დასამთავრებლად და მოსაწყობად საჭირო დამატებით ხარჯების რაოდენობა ქალაქის გამგეობამ უკვე ცნობაში მოიყვანა და ამ ხარჯთ-აღრიცხვას, რომელიც 130,000 მან. უდრის, ძმ. ზუბალაშვილებს ამ დღეებში გაუგზავნის.

◆ **ქალაქის მიწის მითვისება.** ქალაქის თვითმმართველობას საბუნ-ჩაში აქვს ნავთიანი მიწა, რომელიც შემხვაროდმა დაუტოვა ... ქალაქის გამგეობის მიღებულ ცნობით სჩანს, 70 ოთხკ. საჟენი ამ მიწისა კერძო პირთ მიუთვისებიათ. გამგეობამ თავის იურის-კონსულტს დაავალა, საჩივარი აღძრას მიწის მითვისებელთა წინააღმდეგ.

◆ **შეწირულება.** სინემატოგრაფის მეპატრონემ ივანიცკაიამ მუნიციპალურს მუზეუმს შესწირა სინემატოგრაფიული ლენტი, რომელზედაც გადაღებულია ქალაქის მოურავის ვ. ნ. ჩერქეზიშვილის დასაფლავება.

◆ **მკვლელობის გამო.** როგორც ვწერდით, თათრის მოედანზე ყელგამოჭრილი ახალგაზდა კაცის გვამი იპოვეს. მოკლულის ვინაობა აქამდე ვერ გამოარკვიეს. მკვლელობის გამო 20 ნოემბერს ვინმე ივანე ბასიკაშვილი შეიპყრეს.

◆ **სინემატოგრაფების მეპატრონეთათვის** ქალაქის გამგეობამ სავალდებულო წესების პროექტი შეიმუშავა, რომელიც მოკლე ხანში ქალაქის საბჭოს წარედგინება დასამტკიცებლად.

◆ **ახალი წიგნი.** როგორც გავიგეთ, ნოე ჟორდანიას დაუწერია ახალი თხზულება „საქართველო მე-19 საუკუნეში“.

◆ **ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვა** 1912 წლისა საბოლოოდ შეიმუშავა ქალაქის გამგეობამ. ქალაქის საბჭოს ამ ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას გუშინდლიდან შეუდგა.

◆ **გორის მაზრის სოფელ გომის** ბოკუდი გადაჯვეფა სამსახურიდან დათხოვნად იქმნა.

◆ **23 ნოემბერს** ტფილისში 30 უმასშორტო შეიბერეს.

საზოგადოებანი და კრებები

◆ **საფილარმონიო საზოგადოებამ** კრებაზე არჩეულ იქმნენ: გამგეობის წევრებად. **გ. ი. თულაშვილი, ი. ბ. ფალიოშვილი, დ. ბ. ეპიტაშვილი, ა. ნ. ავალიშვილი, თავ. დ. გ. ჯორჯაძე, თავ. ი. ა. ბარათაშვილი** და **თავ. კ. ი. მაყაშვილი.** მათ კანდიდატებად; **მღვდელი ი. ჩიჯავაძე, ა. ნ. ყარაშვილი, ზ. ი. ჩხიკვაძე, ი. გ. რატიშვილი, ნ. ი. არჯევანიძე, ა. ი. არჯევანიძე** და **ბ-ნი გურჯი.** სარევიზიო კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ: **თავ. დ. ე. ჩოღოიაშვილი, ა. მიქაბერიძე** და **ბ. მირიანაშვილი.**

◆ **იურიდიულს საზოგადოებაში.** დღეს, საღამოს 8 საათისთვის, კავკასიის იურიდიულ საზოგადოების წევრთა საერთო კრება მოხდება. კრებამ, სხვათა შორის, უნდა მიიღოს საზოგადოების ახალი წესრნი და აირჩიოს: საზოგადოების თავ.

მგზავრის შენიშვნები

(დახასრული *)

ეგებ ცოტაოდენი სიმართლეც მოიპოვებოდეს ამ ერთგვარ მიზეზთა კვლევა-ძიებაში, თუ ჩაუკვირდებით ვალაჯიშვილის გზაზე დამდგარ „ქართველთა“ ნაწილის სიცოცხლეს.

დრისის ციხიდან სამოიდე ვერსის მანძილზე,—ს. რკონის მახლობლად, საიდანაც თეძმი ჩრდილოეთისაკენ უხვევს,—მაღალი მთის ფერდობზე გავლებულია დიდი ციხე (ვახუშტისებურად „დედა-ციხე“), რომელსაც დღეს ხალხში თამარის ციხეს უწოდებენ. იგი მდებარეობს თეძმის მარცხენა ნაპირზე და მაღლიდან დაჰყურებს მარჯვენა ნაპირზე ერთს ჰექტარა ნიშს. პირველ შეხედვაზე ამ ნიშსარაფერ მნიშვნელობას არ მიაწერდით, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ თვით ადგილი ნიშისა დიად სანახაობის მომასწავებელი ყოფილა და ამიტომ მკითხველის ყურადღებას შევაჩერებ ერთს ლეგენდის შინაარსზე. ლეგენდა ეხება ამ ნიშს და თამარის ციხეს: ერთხელ ოსმალეთის ხონთქარს—თარეშს, ლეგენდის სახელწოდებით, გამოულაშქრნია საქართველოზე თამარის მეფობაში და თრიალეთის მთით კიდევაც გადმოკრილა ქართლში. თარეშს სდომებია თამარის ხელში „ჩაგდება“. საქართველოს ჯარი, რომელსაც წინ თითონ თამარი მიუძღოდა, დაჰხვედრია სამოკალოს და თეძმის ხევების მიდამოებში (თრიალეთის მთის ქალთებში) და ამ ტყდარა საშინელი ბრძოლა. თარეშის აუარებელ ჯარს ველარ გაჰმაგრებიან ქართველები, და ციხეში გამაგრებულან. თარეშსაც ალყა შემოურტყავს მეციხოვნეთათვის, რამდენჯერმე იერიშიც მიუტანია და ბოლოს ქართველები სუმთლად გამწყდარან. აიღო ციხე თარეშმა, შევიდა შიგ და დაინახა, რომ თამარიც, თურმე, ხმალ-ამოწვდილი იბრძოდა. გაექანა თარეში თამარისაკენ, ის იყო კიდევაც სწვდა თამარს, მაგრამ იგი გაუსხლტება ხელიდან, წამს გაჩნდება ციხის კედლებზე, დაჰკრავს ფეხს და გადაეშვება ძირს—ხევში ელვის სისწრაფით. დარჩა თარეში ხელგაწვდილი; დიდხანს ვერ მოსულიყო გონს და ციხიდან ხევს გადაჰყურებდა. ეცნენ ოსმალნი აქეთ-იქით, თეძმის გაღმა ტყეში, მაგრამ ამაოდ.

„ცამ აიტაცა თუ მიწამ შთანთქაო“,—იძახდნენ სანახაობით თავზარ-დაცემულნი ოსმალნი. დაინახეს მარტო, რომ ციხიდან გადაეშვა თმა გაშლილი და თეთრ სამოსელში ვიღაცა ძირს და ვინ იქნებოდა, თუ არა თამარიო.

ბოლოს მოახსენებენ თარეშს, რომ ვიპოვნეთ თამარის კვალიო. მივალენ თარეში და მთელი მისი ამალა და მართლაც ნახავენ საკვირველების კვალს. ნახავენ, რომ თამარს მეორე ფეხი შიგ თეძმის მარჯვენა პირში დაურტყამს და ოდნავად ჩაზნექილი ადგილს აშკარად თურმე ქოშ..ს ნაკუალი ეტყობოდა.

— „ეს თამარის ნაფეხურია. ღმერთო! თამარი მიწის შვილი არა ყოფილა მართლაო“,—მაშინ ეს-და სთქვა სანახაობით განგმირულმა თარეშმა, მოიდრიკა მუხლი და მოწიწებით ილოცა თამარის ნაფეხურზე, რომელზედაც იმ წამსვე ააგეს ნიში; შემდეგ ღმერთს შესწირეს მადლობა და გაეცალნენ საქართველოს. ამის მომასწავებელია ლეგენდით დღევანდელი ნიშის ადგილი. ამ ლეგენდითვე ხსნიან ხალხში თათარ მეცხვარეთა შორის დღესაც დარჩენილ ჩვეულებას, სახელდობრივ: თუ გზათ მოხვდა თრიალეთს მიმავალი მეცხვარე თათარი ამ ნიშს, უსათუოდ ილოცებს თავის წესისამებრ და ისე გაუდგება გზასაო, — გადმოგვცემს ხალხური ხმა [1]).

ნიშიდან ადიხართ რკინის მონასტერში, მაგრამ ვიდრე მონასტერში მიხვიდოდეთ, გზის პირად თქვენს ყურადღებას ძალა-უნებურად ერთი ცაცხვის ხე იქცევს თავის არა ჩვეულებრივ აგებულობით და მოყვანილობით. არა ჩვეულებრივია მისი სიმსხო კი არა, რომელსაც ირგვლივ სამი კაცი ძლივს შემოაწვდენს ხელს, არა ჩვეულებრივი და ორიგინალურია თვით ტოტების მიმართულება (გაშლილობა). ძირის ტოტები ჯერ დაშვებულან ალმაცერად ძირს—მიწის ზურგამდე; აქ ზოგი მათგანი გაჰკვრია მიწას სწორე ხაზით რამდენიმე არშინზე და მერე ისე ასულა: მაღლა; ზოგი კი დაჰკარებია თუ არა მიწას, იმ წამსვე მორკალულა და აწეულა ზევით და იქ ყველას ჰორიზონტალური მიმართულება მიუღია, გაჭრილან შარს სივრცეში და ისე იშლებიან. ხალხური რელიგიოზური რწმენა და მისტიკიზმი ამ ხეს რადაც მნიშვნელობას აწერს. ამას გვამცნებს მის ძირზე შემოვლებული ბამბის ფოთლები და მიტანილი წვრილმანი შეწირულებანი, რასაც ჩვეულებრივ ვხვდებით ხოლმე ეკლესიებში და წმ. ნიშებში სოფლად. გარდა ამისა, ამ ხეს თეძმისა და ხოვლის ხეობებზე ხალხი „ჯაგანთუ ხე“-ს უწოდებს [2]). ასეთ უცნაურ სახელის დასაკუთრებას ხალხში, რასაკვირველია, თავისი ახსნაც აქვს. სახელდობრ: იმ წელიწადს, რა წელიწადშიაც ამ ხეს თავისით (მარტო თავისით, ე. ი. სიგერ-ხნით და არა მეხისგნით) ტოტი მოსტყდება, უსათუოდ ჯავახიშვილების საგვარეულოს ერთი წევრი უნდა მოაკლდესო.

ეხლა ორიოდე სიტყვა თვით რკინის მონასტერსა და მის მიდამოებზე. ვრცელი აღწერა ამ ფრიად საყურადღებო ძეგლისა ხელოვნების მხრივ ბევრ ადგილს დაიკერდა და ამიტომ სამჯობინრად ვცანით ამაზე შემდეგ ცალკე გამოველაპარაკოთ მკითხველს. მაგრამ სრული გაჩუმებაც ყოვლად შეუძლებელია. ეს ძეგლიც, როგორც სხვა მრავალი, ცალკე ისტორიულ ფამთა-ვითარებას, ცალკე ქრისტიანთა გულგრილობას, უფროსად თავ-აწყვეტილ ადამიანთა უკმეხობასა და საზიზღრობას სრულ განადგურების გზაზე დაუყენებია. ნახევრად ჩაწოლილი დღეს თუ ხვალ სუ მთლადაც გადაინთქმება თეძმის ხევში, რომლის პირზედაც იგია აგებული და ოდესღაც გაბრწყინვალებულ რკონის მონასტრის ნატამალიც ალარ დგვრჩება.

საყურადღებოა ერთ-ერთს კედელზე ძველი მხატვრობის კვალი, რომელიც ვიღაცა რუსს ადუდგენია, მხოლოდ „სლავიანური“ (რუსული ხუცური) წარწერებით. ამის თანავე მოვლენასთანა გვაქვს საქმე ეგრედ წოდებულ „მარიაშენი“-ს ეკლესიის კედლებზე. ეს ეკლესია აკვის ბევშია ს. რკონის მახლობლად, საცა უწინ ვიღაცა რუსს უცხოვრია ზოგიერთების გადმოცემით. მონასტერს დიდი გალავანი არტყია და როგორც სენაკების ნანგრევთა რაოდენობა გვიჩვენებს იქ ასობით უნდა ეცხოვრათ ბერებს, სენაკები ზოგი გალავნის ვაკეზე უშენებიათ და ზოგი კლდეში უკრიათ. მაგრამ მეტი საყურადღებოა აქ შემდეგი გარემოება. ხშირად ხვდებით, რომ სენაკს ქვეშ; ე ი. მიწაში დაყოლილი ჰქონია ჯურღმული, რომელშიაც სენაკიდან ხვრელით ჩადენილან. ასეთივე ხვრელით ერთი ჯურღმული შეერთებულია, მეორესთან და სხვა... შესაძლებელია, რომ ყველა სენაკებს ჰქონოდა ამისთანა ჯურღმულები დაყოლილი, რომელთაც ქვეშ ერთი საზოგადო ხვრელი ექნებოდათ, მიმავალი ეკლესისაკენ. ხევის პირად მდგომ ეკლესიის დასავლეთის ნაწილში აჩნევთ ხვრელს, რომელიც ხალხში გავრცელებულ აზრით უნდა უვლიდეს ირგვლივ მთელ მონასტერს და უერთდებოდეს ჯურღმულებიდან მიმავალ ხვრელს. ერთ ძველ შენობის სახურავზე სდგას მამალი ცხვრის ქანდაკება—სიმბოლიური გამოხატულება ქრისტიანობისა. რასაკვირველია, მას წინად თავისი შესაფერი ადგილი ექნებოდა, მაგრამ იქიდან ძირს დაუციათ და შემდეგ ამ შენობის სახურავზე მოუთავსებიათ. ეხლაც ვიდაც ვანდალის ხელს კვლავ დაუძრავს ადგილიდან. დღეს ერთი, ხვალ მეორე და ასე შემდეგ სხვა ამისთანა უკმეხები არ გამოელევა ჩვენ ეკლესია-მონასტრებს და ქანდაკებას უსათუოდ ძირს დასცემენ კიდევ; ან თითონ შენობა ჩაწვება, დღეს თუ ხვალ, და ნანგრევების ძირზე დაიტანს უძველეს დროიდან ჩვენამდე მოღწეულ ნაშთს. ხომ იყო ასეთივე ქანდაკება, მაგ., გორის ჯვარში, რომელიც დღეს აღარ არის, თურმე, როგორც

[1]) თეძმის ხევზე ძევს სულ მოკლე გზა, რომლითაც მეგზურებს აუღიათ სახაფხულოდ თრიალეთზე და მის იქით ცხვარი. ეს გზა გასდგეს კლდე-კარს და მეშდგ თრიალეთს ადის. ავტ.

[2]) კარგი ნაწილი ხეობის დასავლეთის მხარეა შეადგენს ბოვლელ მეამულეთა თავ. ჯავახიშვილების საგვარეულოს მფლობელობას.

*) იხ. „ხალხნო გაზეთი“, N 457.

მჯდომარე, თავმჯდომარის ამხანაგი, ხაზინადარი და ბიბლიოთეკის გამგე.

◆ **მდაბიო მოქალაქეთა შორის.** დღეს საღამოს 7 საათზე, ტფ. ბირჟის დარბაზში მდაბიო მოქალაქეთა რწმუნებულების კრება მოხდება. კრებამ მოქალაქეთა ახალი მოურავი უნდა აირჩიოს ნაცვლად ბ-ნ არაქელიანისა, რომელსაც სამსახურის ვადა გაუვიდა. კერძო თათბირზე მოურავის თანამდებობაზე კვლავ არაქელიანის კანდიდატურა იქმნა დასახელებული. დღეს კრებამ უნდა გადასწყვიტოს საკითხიც: რა ჯამაგირი მიეცეს მოურავს.

სასამართლო.

◆ **ოლქის სასამართლოს სესია,** რომელიც დუშეთს იყო წასული, ტფილისში დაბრუნდა.

— ოლქის სასამართლოს პირველ განყოფილების სესია შულავერს გაემგზავრა, სადაც პირველ დეკემბრამდე დარჩება.

— ოლქის სასამართლოს მეორე განყოფილების სესია ზაქათალას გაემგზავრა, სადაც საქმეების გარჩევას 27 ნოემბერს დაასრულებს.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ

◆ **ქუთაისის ეპარქიის საბღვდელოების** კრება 13 დეკემბერს მოხდება.

◆ **ქალაქის უძრავ ქონებათა შეფასება.** ქალაქის საბჭოს საფინანსო და საალმშენებლო კომისიების შეერთებულმა კრებამ დაადგინა, ქალაქის უძრავ ქონების ხელ-ახლად შესაფასებლად შეადგინოს დამფასებელთა სამი ჯგუფი; 2) ყოველ ჯგუფში დაინიშნოს თითო ხმოსანი, ან ქალაქის სხვა მცხოვრები; 3) კომისიის ყოველ წევრს ხუთასი მანეთი ჯამაგირად მიეცეს; 4) კომისიის ერთ-ერთ წევრს მიენდოს საქმის წარმოება და ამისთვის ასი მანეთი ზედმეტი მიეცეს; 5) ყოველ ჯგუფში დაინიშნოს თითო დამტარებელი ქალაქლებისა თვეში 25 მ. ჯამაცირით; 6) ათასი მანეთი გადაიდვას ბლანკებისა და წიგნების დასაბეჭდად; 7) ექვსასი მანეთი მოუოლოდნელი ხარჯისათვის; 8) დამფასებელ კომისებს დაევალოს საქმის დაწყების დღიდან რვა თვის განმავლობაში დაასრულონ შეფასება; და 9) ამ საქმისათვის საჭირო შვიდასი თუმანი შეიტანოს მომავალ 1912 წ. ხარჯთაღრიცხვაში.

◆ **განთავისუფლება.** 18 ნოემბერს ციხიდან გაანთავისუფლეს „მნათობის რედაქციაში დაპატიმრებულნი ვ. ბაქრაძე და ტ. წერეთელი.

◆ **შავი ქვის მრეწველთა საბჭოს** თავმჯდომარე **ზდანოვიჩი** პეტერბურგიდან დაბრუნდა და თანამდებობის აღსრულებას შეუდგა. (კ.)

ქუთაისის ავ-კარგი

ზოგიერთმა ჩვენმა საქველმოქმედო დაწესებულებამ არაჩვეულებრივი მიძინება იცის. ისე მიყუჩდება, ისე გაანელებს თავის მოქმედებას, კაცს ეგონება არც-კი არსებობსო, ასეთ დაწესებულებად ჩვენ მიგვაჩნია ქართული გიმნაზიის ღარიბ მოსწავლეთა დამხმარე საზოგადოება. ჩვენ ვიცით, რომ იგი არსებობს, წელიწადში ერთხელ, ხან იმასაც არა, გამართავს საქველმოქმედო საღამოს თავის საშუალებათა გასაძლიერებლად და მერე [illegible] ოქტომბერ ტკბილი ძილით, თითქო ღარიბ მოსწავლეთა მდგომარეობა, სიტკბოებით იყოს სავსე, მეტადრე წრეულს, როცა დახმარება გიმნაზიას არსაიდგან ეძლევა და მოსწავლეთ სწავლის ფულად ისეთი დიდი გადასახადი დაედოთ, როგორც 70 მ. წელიწადში.

ამისთანა პირობებში, ჩვენის ფიქრით, საზოგადოებას და მის გამგეობას მოქმედება უნდა გაეასკეცებინა. სხვა წლებთან შედარებით ერთი ათად მეტი საშუალება მოეპოვებინა მართლა უმწეო ღარიბ-მოსწავლეთა დასახმარებლად სწავლის ფულის გადახდით, და აი სწორედ ამისთანა პირობებში საზოგადოებას ყურს, ხმას არ იღებს. ჩვენ კარგად ვიცით, რა სიმპატიით ეკიდება ქუთაისის საზოგადოება ქართულ გიმნაზიას და ეკვი არ არის, რომ უარს არავინ იტყოდა წევრად ჩაწერილიყო საზოგადოებაში და საწევრო ფულიც შეეტანა. ამისთვის საჭირო იყო და არის სულ უბრალო რამ მოგონება.

მოგონებაც არის და მოგონებაც—ჩვენ დარწმუნებული ვართ, უბრალო მოგონების წერილებიც მოუპოვებს საშუალებას საზოგადოებას, მაგრამ ამაზე მეტად ის უფრო გასჭრის, თუ საზოგადოების გამგენი მოიკრებენ ძალას და გაბედავენ წევრთა კრებას. აქ დამსწრენი უფრო დაახლოვებით გეცნობიან ღარიბ მოსწავლეთა უკიდურეს მდგომარეობას, და ეკვი არ არის, საწევრო გადასახადის გარდა ბევრი სხვა მხრითაც დეხმარებიან საზოგადოებას და მის შემყურე გაჭირვებულ ღარიბ მოსწავლეებს.

მაშ, იმედი ვიქონიოთ, რომ საზოგადოების გამგენი გაიხსენებენ თავის მოვალეობას და ამ ცოტა ხანში მოიწოდებენ საზოგადო კრებას,

მკითხველი გულს ნუ გაიტეხს—თუ ქართული გიმნაზიის ღარიბ მოსწავლეთა დამხმარე საზოგადოება სდუმს—სხვა საკულტურო დაწესებულებანი სიცოცხლის ნიშანს იჩენენ. ერთ ასეთ დაწესებულებად უნდა ჩაითვალოს სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოება. დღიდან დაარსებისა, იგი, რამდენადაც კი ძალა შესწევს, მუშაობს და სისტემატიური შრომით თავის ლექციებს მოუპოვა მუდმივი აუდიტორია, რომელიც გულდასმით ისმენს ლექციებს, როცა მეტადრე ეხება ქართველთა ლიტერატურას და წარსულს. ეხლა გაზეთებმა გვამცნეს, რომ სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოება საღამოს კურსებს აარსებსო და ეჭვიც არა გვაქვს, რომ ეს საქმე რიგიანად იქნება მოწყობილი.

ამ საქმემ გაგვახსენა ერთი გარემოება: ოდესღაც ქუთაისში არსებობდა სახალხო წარმოდგენების წრე. ამ წრემ დიდი უნარი გამოიჩინა და როცა ძალა უნებურად თავის მოღვაწეობას მიანება თავი, მას კარგა ფული დარჩა. სად არის ეს ფული, ვის ამბარია? ამ კითხვებზე პასუხს ვერ მოგცემთ, მაგრამ, ვიმეორებ, ფული არსებობს. ამიტომ კარგს ინებებდენ ის პირნი, ვისთანაც ეს ფული [illegible], იგი ჩაბარონ ერთ ერთ კულტურულ დაწესებულებას—ან წერა-კითხვის საზოგადოების განყოფილებას, ან სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოებას, რომლებიც ემსახურებიან იმავე საქმეს, რასაც წრე. ველით პასუხს.

თედო პროტასოვის გასამართლება

(დასასრული *)

ამისთანა საბუთიან ბრალდების შემდეგ ცოტა რამ შეიძლებოდა თქმულიყო. ბ-ნმა კოზლოვმა მაინც ლამაზი სიტყვა წარმოსთქვა. იგი ამტკიცებდა, თედო პროტასოვი საშუალო ადამიანია და თუ სურვილების და განზრახვათა ასრულება, იდეის განხორციელება ვერ შესძლო, მხოლოდ გარემოების ძალითაო. იგი მხიარული ადამიანი, ცოცხალი ბუნების პატრონი იყო და მხოლოდ მერე შეიგნო, რამდენად არ შეეფერებოდა იმას ლიზა. ლიზა უფრო ჭკუადამჯდარი, დინჯი, უმწიკვლო და ცოცხალ არ იყოს, გულგრილი ადამიანია. ამიტომ იყო უკმაყოფილება ოჯახში და „არც გასაკვირველია თუ მოშორდა ცოლსაო. იგი ვერ შეურიგდა თავის წრის უხამსობასა და სიცარიელეს, მიატოვა იგი და არც შეიძლება ამისთვის გავამტყუნოთო. პროტასოვი ეგოისტი კი არა, ალტრუისტია: მან ორი ადამიანის ბედნიერებას შესწირა თავი,—მოკვდა. მოკვდა, როგორც უფლებით მოსილი მოქალაქე და თუ ფიზიკურად არა, განა გასამტყუნარია? ბა, რომელ ადამიანს დაიტეხ„ „გასასამართლებლად, თავი რატომ არ მოიკალი, როცა განიზრახეო. ამიტომ იკმარეთ, ბ-ნნო მსაჯულნო, თედოს ტანჯვა-ვაება და გაამართლეთ იგია, დასძინა დამცველმა.

სხდომა ცოტა ხნით შესწყდა.

სხდომის განახლებისას ბრალმდებელი და დამცველი შეეკამათნენ ერთმანეთსა, მაგრამ საგულისხმო ადარაფერი უთქვამთ. შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა თვით ბრალდებულმა, თედო პროტასოვმა (მსახ. სმოლენსკიმ) მან მეტად მოხდენილად და ლამაზად ილაპარაკა. ამხილა საზოგადოება, თქვენ ჩემზე უზნეონი ხართ, მაგრამ ეხლა პირმოთნეობთ და მორალის დამცველობას კისრულობთო. ბევრი თქვენგანი მინახავს რესტორანებსა და ბოშა ქალებთან, მაგრამ საიდუმლოდ მოსულნი, უკანა კარიდან შემოპარულნი. განა დამნაშავე ვარ, თუ პირდაპირობა გამოვიჩინე და წინა კარიდან შევდიოდი? განა თქვენ, ქალბატონო, ეხლა პარტერში დინჯად მჯდომარე, მხეცივით აღტყინებული არ უყურებდით იდუმალ ტუქრუტანიდან ბოშა ქალებსა და მათ სიმღერასა? განა იმ დღეს, კინემატოგრაფში, ხელს არ მიჭერდით, როცა დაბნელდა და ისეთს სურათებს უჩვენებდნენ, რის ნახვაც მცირე-წლოვანთ აკრძალული აქვთ? მახსოვს, დიდის ინტერესით შესცქეროდით სურათებს და თან იძახდით: რა საძაგლობაა, რა საძაგლობა! დიალ, ასეთი ხართ, თქვენ, საზოგადოება! მე ვერ მოვითმინე თქვენი სიცრუე და ორპირობა, განვედი, მოგშორდით. განვედი და დაუახლოვდი ბოშა-ქალს მაშოს, ვისაც ფრჩხილადაც კი არა ღირხართ. ერთ მხარეს ვიდექი მე, თავისუფლების და ჭეშმარიტების ენთუზიაზმით ხელში, მარტო, და მეორე მხრით მთელი საზოგადოება, მთელი ხროვა მგელთა, რომელნიც არაფრით დამზოგავდნენ. ვიბრძოდი, მაგრამ ვერაფერს გავხდი და ეხლა მივდივარ ჩემ საყვარელ მასწავლებელთან, ის მიმიღებს და მანუგეშებსო. თქვენ კი, ორპირნო და პირმოთნენო, გამასამართლეთ, არ მეშინია თქვენის მსჯავრისა და არც ვისურვებ მის მოსმენასაო, დაამთავრა მშვენივრად წარმოთქმული სიტყვა ბ-ნმა სმოლენსკიმ.

ჩვენის აზრით, მსახიობმა გადააჭარბა. ამ საღამოს ჩვენ წინ თედო პროტასოვი, დაჩაგრული, ლაჩარი, და ლოთობის მონა-მორჩილი კი არ იდგა. არამედ გმირი, პირუთვნელი მამხილებელი საზოგადოების ნაკლისა. ესე იგი, სწორედ ისეთი ადამიანი, რომელსაც, თვით თედოს სიტყვით, იგი სრულიად არა ჰგავს. ვისმენდით თედოს სიტყვას და მართალი მოგახსენოთ, ტოლსტოის თედო ვერ ვიცანით. ბ-მა სმოლენსკიმ იგი იბსენის გრანდად, შტოკმანად დაგვისახა; მან აგიტაციის ხასიათის სიტყვა წარმოსთქვა, თუმცა მხატვრულად.

პატარა ხნის სხდომის შემდეგ ილაპარაკა ბ-ნმა თავმჯდომარემ (პალმოვმა). მან სთქვა, რუსეთში ისეა საქმე, „მკვდარი სულია“ და „ცოცხალი გვამია“. თედო პროტასოვი გარეგნად ლამაზია, მაგრამ პარაზიტია, მუქთა-ხორა, „ორქიდეა, რომელიც თავის სიცოცხლის საკვებს თვით თავის დღეში არა ჰქმნის. ცუდნი ხართ, მეც ცუდი ვარ, გამამართლეთო, ამბობს თედო და ჰსურს ამისთვის თავზე ხელი გადაუსვათ, მაგრამ თუ ვინმე გადამდებ ავადმყოფობით არის შეპყრობილი და საზოგადოებასაც ეს სენი აწუხებს, მაინც საჭიროა ავადმყოფის იზოლაცია და სხვების დაშორებაო. თედო მებრძოლი სრულიად არ არის, უხასიათოა და საითკენაც ქარი ჰქრის, იქითკენ მიდის. ვერც მომავლის მოქალაქეს ვუწოდებთ, ვინაიდან მას არა სწამს რა ღრმადაო.

ამის შემდეგ მან ნაფიც მსაჯულებს ოთხი საკითხი მისცა გადასაწყვეტად: 1) თედო პროტასოვმა განზრახ ჩაიდინა თუ არა ისეთი დანაშაულობა, რასაც კარენინისა და ლიზას მიერ „ბოროტ-მოქმედების“ ჩადენა მოჰყვა; 2) უზნეოა თუ არა იგი; 3) შეიძლება იმისთანა ადამიანთა გამრავლება ვისურვოთ? 4) შეიძლება თუ არა, პროტასოვი მომავლის მოქალაქედ და ადამიანად დავსახოთ?

ნაფიც მსაჯულთ დიდ ხანს არ უთათბირნიათ. მათ შემდეგი გადაწყვეტილება გამოიტანეს: 1) თედო პროტასოვს განზრახ არ ჩაუდენია დანაშაული; 2) უზნეოს ვერ ვუწოდებთ; 3) არ არის სასურველი მისთანა ადამიანთა გამრავლება; 4) მომავლის მოქალაქედ ვერ დავსახავთ პროტასოვს. განაჩენს ხალხი ტაშის ცემით შეხვდა.

თეატრი მთლად გაჭედილი იყო.

რაჭველი.

წ. კ. საზ. თელავის განყოფილების ოხოვნა ქალაქის მიმართ

როგორც მკითხველს ეხსომება, წ. კ. თელავის განყოფილების სკოლა გაიხსნა თელავში წარსულ ენკენისთვეში. მასში 45 მოსწავლე დაიარება, მთხოვნელი ორჯელ მეტი იყო. უეკველია, ყოველ წლივ ეს რიცხვი გაორკეცდება. თითქმის სულ ღარიბები სწავლობენ. სკოლაში ქართველებს გარდა, სომხებიც სწავლობენ.

ჩვენ ამ სკოლას დიდ მნიშვნელობას ვაძლევთ. შეიძლება მან ბევრი ააცდინოს ისეთ მრუდე გზაზე სიარულს, რომელიც უსკოლოდ აუცილებელი იქნებოდა მისთვის. დღეს თუ თელაველ „განათლებულთა“ მთელი ყურადღებანი ვაჟთა პროგიმნაზიისაკენ ა მიქცეული, საიდანაც უნდა ჩამოყალიბდნენ ოცის პატარა კაცუნები. ასეთი სკოლები, რომლებიც მდაბიო მცხოვრებთა სწავლა-განათლებას ემსახურება, უფრო მეტი ყურადღების და სიმპატიის ღირსია, იმისდა მიუხედავად ქართველთა წ. კ. საზოგადოების სახელი ეწოდება მას, თუ სომეხთა წმ. გიორგეს სკოლისა.

ამ ახლად გახსნილ სკოლას რომ მკვიდრი საფუძველი დაედოს, და მის არსებობას დროებითი ხასიათი არა ჰქონდეს, წ. კ. საზ. განიზრახა ეხლავე იფიქროს საკუთარ შენობის აშენებისთვის, მაგრამ ამას ერთი დაბრკოლება უხვდება წინ—ადგილის უქონლობა. ადგილი რომ იყოს, შენობის აშენება შესაძლებელი იქნებოდა, მხოლოდ ადგილის შეძენაში ფულის დახარჯვა რომ მოუხდეს, მაშინ განყოფილება, შეუძლებლობისა გამო იძულებული იქნება სრულებით თავი მიანებოს ამ სიმპატიურ საქმის განხორციელებას.

ამისათვის წ. კ. საზ. თელავის განყოფილებამ თხოვნით მიჰმართა თელავის ქალაქის გამგეობას ადგილის უანგაროდ დათმობის შესახებ სკოლის ასაშენებლად.

ქალაქს მოეპოვება ისეთი თავისუფალი ადგილი, რომელიც სკოლას გამოადგება, მხოლოდ ქალაქს კი არა სჭირდება, არც შემოსავალს იძლევა და სცდება მუქთად.

სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ქალაქის რწმუნებულნი ყურადღებით მოეკიდებიან ამ მეტად ანიშვნელოვან საკითხს, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ღარიბ მოქალაქეთა სწავლა-განათლებასთან.

დაგიწყებულ.

რუსეთ-სპარსეთის უთანხმოება

დეპეშები

23 ნოემბერი.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატაში ოკლენტი შემკითხველთ უპასუხებდა და შემდეგი სთქვა: ბრიტანეთის მთავრობა მხარს უჭერს 1907 წელს რუსეთისა და ინგლისის მიერ სპარსეთისთვის წარდგენილ დეკლარაციას. რუსეთის მთავრობამ გადაჭრილი პასუხი შეგვატყობინა. ჩემ მიერ მიღებული ზომები დროებითია, ინგლის-რუსეთის შეთანხმების პრინციპს თავის დღეში არ დავარღვევთო.

„რეიტერის სააგენტოს“ გაუგია, კვინსლენდისა და ბომბეის გუბერნატორი ლორდი ლემინგტონი სპარსეთს წასვლას აპირებს საქმის ვითარების გასაცნობადაო.

თავრიზი. რუსეთის საქონლის ბოიკოტი სიცილს იწვევს. გენერალ-გუბერნატორმა ეზოში დიდის ამბით რამდენიმე შაქრის თავი და წუმწუმა დასწვა. უნჯუმენის წევრებიც ჩაის ალარა სმენ.

ინგლისელი ლეკოფრი ადერბეიჯანს მოვიდა.

ბერლინი. პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოს გაუგია, აქაურთ სპარსელმა იფიქრა, იგონა, მაგრამ ვერ მოიგონა ასეთი შემთხვევა. გული კი ეუბნებოდა თითქოს „ეგ წმინდა წყლის კაცი არ არის; შენი ჯიბის ამომბრუნებელი მაგის ხელიაო“. დაჰყვა გულის თქმას და ეცა ქურდს:

— შენა გაქვს ჩემი ფული!“-ო.

შეუდგათ ერთი ჩოჩქოლი და ფიცობა-ტიკი. მაგრამ გული მართალს ეუბნებოდა სპარსელოს; ამანაც სტაცა ხელი:

— „აბა, მაშ ბარემ აქვე ვართ და ჯაჭვს ხელი მოავლეო“—მიათრია ჯაჭვთან. ქურდმა იფიქრა: მოდი, ამ ჯოხს მაგას დავაჭერინებ ხელში, მაშინ ხომ მე ალარ მექნება ხელში მაგის ფული და თვითონვე ეპირეშაო და მიაწოდა ჯოხი.

— აბა, აბა ერთი დაიფიცე თუ შენ არა გაქვს ჩემი ფულიო,—დაინებით ეუბნებოდა ფულის პატრონი ქურდს.

— ე, ჯოხი დამიჭირე შენა! ჩემი სიალალ-მართლით თუ გინდა ორივე ხელებით ჩამოვეკიდებიო,—იმანაც გამოართვა ჯოხი.

— ღმერთო! შენა ხარ მოწმე, რომ თავის ფული თვითონვე აქვს და მე ცილსა მწამებსო—და მეეტოტინა კიდევაც ქურდი ორივე ხელებით ჯაჭვს. ჯაჭვი შეინძრა უცაბედ ჰაერში და გაწყდა: ნახევარი რიხრიხით წავიდა ცაში და მეორე ნახევარი კი თავზე დაეცა ქურდს და ქვეშ დაიტანა, რაკი თვით ღმერთის მოტყუებულებაც მოიწადინა ქურდმა არამც თუ კაცისა. ასე გადმოგვცემს საბრალომ იფიქრა, იგონა, მაგრამ ვერ მოიგონა ასეთი შემთხვევა. გული კი ეუბნებოდა თითქოს „ეგ წმინდა წყლის კაცი არ არის; შენი ჯიბის ამომბრუნებელი მაგის ხელიაო“. დაჰყვა გულის თქმას და ეცა ქურდს:

— შენა გაქვს ჩემი ფული!“-ო.

შეუდგათ ერთი ჩოჩქოლი და ფიცობა-ტიკი. მაგრამ გული მართალს ეუბნებოდა სპარსელოს; ამანაც სტაცა ხელი:

— „აბა, მაშ ბარემ აქვე ვართ და ჯაჭვს ხელი მოავლეო“—მიათრია ჯაჭვთან. ქურდმა იფიქრა: მოდი, ამ ჯოხს მაგას დავაჭერინებ ხელში, მაშინ ხომ მე ალარ მექნება ხელში მაგის ფული და თვითონვე ეპირეშაო და მიაწოდა ჯოხი.

— აბა, აბა ერთი დაიფიცე თუ შენ არა გაქვს ჩემი ფულიო,—დაინებით ეუბნებოდა ფულის პატრონი ქურდს.

— ე, ჯოხი დამიჭირე შენა! ჩემი სიალალ-მართლით თუ გინდა ორივე ხელებით ჩამოვეკიდებიო,—იმანაც გამოართვა ჯოხი.

— ღმერთო! შენა ხარ მოწმე, რომ თავის ფული თვითონვე აქვს და მე ცილსა მწამებსო—და მეეტოტინა კიდევაც ქურდი ორივე ხელებით ჯაჭვს. ჯაჭვი შეინძრა უცაბედ ჰაერში და გაწყდა: ნახევარი რიხრიხით წავიდა ცაში და მეორე ნახევარი კი თავზე დაეცა ქურდს და ქვეშ დაიტანა, რაკი თვით ღმერთის მოტყუებულებაც მოიწადინა ქურდმა არამც თუ კაცისა. ასე გადმოგვცემს

ბდა და დამნაშავეს კი ხელიდან უსხლტებოდა და ზევით იწევდა. იყო ასე ეს ჯაჭვი ჩამოკიდებული და ერეოდა ხალხის საქმეში, მაგრამ შემდეგ აქ ცოდო დატრიალდა და ჯაჭვიც გასწყდა.

აი, თვით ეს შემთხვევაც ლეგენდის გადმოცემით:

მოდიოდნენ გზაზე ორნი ლაპარაკით ძალიან გართულნი და ერთს მეორესთვის ჯიბიდან ფული ამოეცალა. ფიცეულში რომ მოსულან, დამხდარან დასასვენებლად. ცოტა ხნის მერე ქურდი წამომდგარა და მეორისთვის უთქვამს:

— მაიცა ცოტა ხანს, ემა წყაროზე ჩავალ და ეხლავ ამოვალო. ჩასულა წყაროზე, რომლის ახლოს დუდგულა მდგარა, მოუტრია დიდი გულის ჯოხი, გამოუცლია გული და შიგ მოპარული ფული ჩაუყრია; შემდეგ მართლაც დაულევია წყალდა გაუწევნია თანამგზავრისაკენ არხეინად და ჯოხის ქნევით. მანამდის ის ავიდოდეს, მეორეს—ფულის პატრონს რაღაზედაც ფული გაჰხსენებია, ჩაუყვია ჯიბეში ხელი, მაგრამ პირ-კატა სცემია. ამ დროს ქურდიც მისულა.

— კაცო, ფული მქონდა ჯიბეში და ალარა მაქვს! ნეტა რას უზამდი ან ვინ ამომაცლიდაო?— შესჩივის ქურდს. ქურდს, ვითომც აქ არაფერიაო, უთქვამს:

— ჯიბეში რისთვისმე ჩაიყობდი ხელს და ამოღებაზე ჯიბე ამოგიბრუნდებოდა და ფულიც თან ამოყყებოდაო.

1) თედო პროტასოვმა განზრახ ჩაიდინა თუ არა ისეთი დანაშაულობა, რასაც კარენინისა და ლიზას მიერ „ბოროტ-მოქმედების“ ჩადენა მოჰყვა; 2) უზნეოა თუ არა იგი; 3) შეიძლება იმისთანა ადამიანთა გამრავლება ვისურვოთ? 4) შეიძლება თუ არა, პროტასოვი მომავლის მოქალაქედ და ადამიანად დავსახოთ?

ნაფიც მსაჯულთ დიდ ხანს არ უთათბირნიათ. მათ შემდეგი გადაწყვეტილება გამოიტანეს: 1) თედო პროტასოვს განზრახ არ ჩაუდენია დანაშაული; 2) უზნეოს ვერ ვუწოდებთ; 3) არ არის სასურველი მისთანა ადამიანთა გამრავლება; 4) მომავლის მოქალაქედ ვერ დავსახავთ პროტასოვს. განაჩენს ხალხი ტაშის ცემით შეხვდა.

თეატრი მთლად გაჭედილი იყო.

რაჭველი.

Წ. Კ. ᲡᲐᲖ. ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲗᲮᲝᲕᲜᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ

როგორც მკითხველს ეხსომება, წ. კ. თელავის განყოფილების სკოლა გაიხსნა თელავში წარსულ ენკენისთვეში. მასში 45 მოსწავლე დაიარება, მთხოვნელი ორჯელ მეტი იყო. უეკველია, ყოველ წლივ ეს რიცხვი გაორკეცდება. თითქმის სულ ღარიბები სწავლობენ. სკოლაში ქართველებს გარდა, სომხებიც სწავლობენ.

ჩვენ ამ სკოლას დიდ მნიშვნელობას ვაძლევთ. შეიძლება მან ბევრი ააცდინოს ისეთ მრუდე გზაზე სიარულს, რომელიც უსკოლოდ აუცილებელი იქნებოდა მისთვის. დღეს თუ თელაველ „განათლებულთა“ მთელი ყურადღებანი ვაჟთა პროგიმნაზიისაკენ ა მიქცეული, საიდანაც უნდა ჩამოყალიბდნენ ოცის პატარა კაცუნები. ასეთი სკოლები, რომლებიც მდაბიო მცხოვრებთა სწავლა-განათლებას ემსახურება, უფრო მეტი ყურადღების და სიმპატიის ღირსია, იმისდა მიუხედავად ქართველთა წ. კ. საზოგადოების სახელი ეწოდება მას, თუ სომეხთა წმ. გიორგეს სკოლისა.

ამ ახლად გახსნილ სკოლას რომ მკვიდრი საფუძველი დაედოს, და მის არსებობას დროებითი ხასიათი არა ჰქონდეს, წ. კ. საზ. განიზრახა ეხლავე იფიქროს საკუთარ შენობის აშენებისთვის, მაგრამ ამას ერთი დაბრკოლება უხვდება წინ—ადგილის უქონლობა. ადგილი რომ იყოს, შენობის აშენება შესაძლებელი იქნებოდა, მხოლოდ ადგილის შეძენაში ფულის დახარჯვა რომ მოუხდეს, მაშინ განყოფილება, შეუძლებლობისა გამო იძულებული იქნება სრულებით თავი მიანებოს ამ სიმპატიურ საქმის განხორციელებას.

ამისათვის წ. კ. საზ. თელავის განყოფილებამ თხოვნით მიჰმართა თელავის ქალაქის გამგეობას ადგილის უანგაროდ დათმობის შესახებ სკოლის ასაშენებლად.

ქალაქს მოეპოვება ისეთი თავისუფალი ადგილი, რომელიც სკოლას გამოადგება, მხოლოდ ქალაქს კი არა სჭირდება, არც შემოსავალს იძლევა და სცდება მუქთად.

სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ქალაქის რწმუნებულნი ყურადღებით მოეკიდებიან ამ მეტად ანიშვნელოვან საკითხს, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ღარიბ მოქალაქეთა სწავლა-განათლებასთან.

დაგიწყებულ.

ᲗᲔᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲖᲐᲖᲗᲔᲑᲘᲓᲐᲜ

ᲨᲣᲡᲢᲔᲠ-ᲛᲝᲠᲒᲐᲜᲘ.

შუსტერ-მორგანი წასვლას აპირებს. თავის თანაშემწე ამერიკელმოხელეებს უთხრა თურმე, ჯერ თქვენ ისევ სპარსეთში მოგიხდებათ დარჩენაო. მოხელეებს ჯამაგირი ერგებათ. გარდა ამისა, თუ დადებულ ხელშეკრულებას დაარღვევს სპარ-

ლეგენდა სახელ ფიცესის წარმოშობას და ჯაჭვის გაწყვეტის მიზეზს.

მერიადან გადიხართ ს. ს. კაბერში, ჯვ-ჯვში და კოსტიბეში ამ სოფლებში საყურადღებონი არიან კაბერი და კოსტიბე თავიანთის ეკლესიებით, რომელთაგანაც კაბერის ეკლესიის დასავლეთის კედელზე ხუცურ წარწერასაც კითხულობთ.

გავთავეთ გაკვრითი აღწერა ცოტად თუ ბევრად საყურადღებო ადგილებისა კერძოთ ს. ერთა-წმინდის მიდამოებში და საზოგადოდ თეძმის ხეობაზე.

დასასრულ ჩვენის წერილებისა უნდა ვთქვათ, რომ ყველა აქ მოყვანილი და ჩვენ მიერ აღწერილი ლეგენდები, თქმულებები, ძეგლები თუ სხვა რამე ნაშთები მხოლოდ ძალიან პატარა ნაწილია, რასაკვირველია, იმ აუარებელ მასალისა, რომელიც უხვად უნდა იყვეს გაბნეული ხეობის მცხოვრებთა სულიერ სალაროში. უნდა იყვეს მეთქი იმიტომ, რომ უძველეს დროიდანვე თეძმის პატარა ხეობა, მთა-გორიანი ბუნებით და საერთოდ გეოგრაფიული მდგომარეობით, ხელსაყრელი სტრატეგიული გზა ყოფილა—შუაგულ ქართლიდან თრიალეთით ოსმალეთისაკენ და სამხედრო ძლევა-მოსილების საფარველის ქვეშ ამ ხეობაზე უცემნია ადრეთვე ძლიერ კულტურულ ძარღვსაც და ამ მხრივ თუ გნებავთ, თავის ინტერესს არ არის მოკლებული.

ხტ. ი. კარგარეველი.

სეთი, იძულებული იქნება ზარალი აუნაზღაუროს მოხელეთ, სპარსეთის ხაზინას კი სულ 100 ათასი თუმანი აქვს, მეტი არა. შუსტერს დემოკრატებთან მოლაპარაკება აქვს თურმე და სწამს კიდეც, რომ თეირანის დაცვა შესაძლებელია.

ეფრემი.

ეფრემმა ყოველ სამსახურს თავი დაანება. მან საპენდარი ინახულა და გამოემშვიდობა, ვინაიდან სპარსეთიდან წასვლას აპირებს.

ოსმალეთის სომხის გაზეთები ეფრემის მოქმედებას ჰგმობენ, ისეთ ბრძოლაში ჩაითრია სომხები, რის ბოლოც არავინ იცის და თუ მაჰომედ-ალი ავა ტახტზე, მაშინ ხომ სომხების საქმე ცუდად იქნება.

ბოლოს დროს კი ეფრემს განუცხადებია, ტყუილია, ვითომ სპარსეთიდან მივდიოდე სადმე.

ამერიკას აზრი.

ნიუ-იორკიდან პარიზს შემდეგი ამბავი მისულა: აქაურთა პრესა რუსეთის წინააღმდეგ ამხედრდა და უსაყვედურებს, სპარსეთის ერთი ნაწილის დაპერის გულისთვის იგი სპარსეთის პროგრესის საქმეს აფერხებსო. ზოგიერთი გაზეთი პირდაპირ მოითხოვს, შეერთებული შტატები საქმეში უნდა ჩაერიოს, შუსტერ-მორგანს გამოესარჩლოსო.

სენატს „სპარსთა კომიტეტისა“ და შეერთებულ შტატების მოქალაქეთაგან პეტიცია მისულია, რითაც ისინი საქმეში ჩარევასა და შუსტერ-მორგანის დაცვას მოითხოვენ. ვაშინგტონის მთავრობას ჯერ მაინც არაფერი გადაუწყვეტია საბოლოოდ.

სპარსთა პროტესტი.

თეირანის დემოკრატებმა ადამიანთა უფლების დამცველ ლიგას დეპეშა გაუგზავნეს, რაშიაც რუსეთის ულტიმატუმის წინააღმდეგ და საზოგადოდ ევროპიელთა მიერ ჩადენილ უსამართლობისა და სპარსეთის დამოუკიდებლობის მოსპობის სურვილის წინააღმდეგ ლაპარაკობენ.

სტამბოლის სპარსელთა ახალშენებმაც გაუგზავნეს. დეპეშაში რუსეთის ულტიმატუმი დაგმობილია და თანაც აღნიშნავენ, იგი რუსეთ-ინგლისის ხელშეკრულების დამარღვეველიაო. რუსეთის ულტიმატუმმა იტალიისასაც გადააჭარბა. სოციალ-დემოკრატებსა და თავისუფლად მოაზრეთ განზრახვა აქვთ ამის შესახებ შეკითხვა შეიტანონ რეიხსტაგში.

გერმანელთა პრესას რუსის ჯარის სპარსეთს გაგზავნა სპარსეთის დამოუკიდებლობის ბოლოს მოღების დასაწყისად მიაჩნია. ეხლა ტყუილია სპარსელთა ძახილი და პროტესტი დიდი ხანია საამისოდ რუსეთი და ინგლისი შეთანხმდაო.

მაჰომედ-ალი.

ყოფილი შაჰი ენზელს მივიდა თურმე და თავის მეუღლეს (ოდესაშია) დეპეშაც გაუგზავნა. შაჰი და რუსის ჯარი თითქმის ერთ დროს მივიდა ენზელსა.

ჰფიქრობენ და ამბობენ კიდეც, შეიძლება მალე ტახტიც დაიბრუნოს შაჰმაო.

ჩინეთის რევოლუცია

დეპეშები.

23 ნოემბერი.

ტოკიო. დროებით ზავის ჩამოგდების შემდეგ იაპონიამ ორივე მხარეს წინანადება მისცა, თუ გინდათ, შუამავლობას გაგიწევთ შესარიგებლადაო. პრესას არა სჯერა აბის განხორციელება.

ჩინეთის ზღვაზე კრეისერი „ტოკივა“ გაიგზავნა.

კიახტა. გუშინ მიმაჩენიდან პოლიციელთა რაზმი გაიგზავნა წესიერების დასაცველად. კიახტასა და ურგაში დაიცინის მოხელეთა გადაყენებამ მშვიდობიანად ჩაიარა. ვაჭრობასაც განაგრძობენ. ჩრდილოეთი მონგოლეთი ჯარს აგროვებს. ურგას თავადები გროვდებიან.

შანხაი. ინგლისი ხანკოუს რაზმსა გზავნის. რუსის ჯარის ასმა კაცმა გაიარა. ამბობენ, გენერალ ჩანმა პუკოუს გზას ალყა შემოარტყაო. პუკოუ რევოლუციონერების ხელშია. ამბობენ, რევოლუციონერებმა ჩინისაგან გაგზავნილი ფული (რამდენიმე მილიონი) წამლებს წაართვესო. კანტონში მეკობრეობაა. ყველგან ძარცვა-გლეჯაა. ვერცხლი გაიაფდა. პროვინციის ყველა ნაწილში მოძრაობაა.

გაზეთებიდან.

ვანგის პროკლამაცია.

ყველგან გავრცელდა და ფოსტითაც გაიგზავნა ჩრდილოეთ ჩინეთის სარევოლუციო კომიტეტის თავმჯდომარის ვანგის განცხადება. განცხადება გაზეთებშიც დაიბეჭდა. ვანგი იუწყება, რევოლუციონერთა ჯარმა ჩრდილოეთ ჩინეთს უნდა მიაშუროს და პეკინი აიღოსო. იგი იმასაც აცხადებს, ჯარის რომელი ნაწილი საით უნდა წავიდეს. იგი ამბობს: მე ჩემი ჯარით თიანძინისაკენ გავწევ, პეკინს სამხრეთით მოუვლი და დავეცემი. იქ პატარა იმპერატორს სიცოცხლეს გამოვასალმებ და ავასრულებ კომიტეტის დადგენილებას, რაც მოითხოვს მართვა-გამგეობაში მთელის ხალხის მონაწილეობას, ან ჩინელთა ჩამოშავალ დინასტიის გამეფებას.

ჩეილის პროვინციის მცხოვრებთ ხუთის დღის განმავლობაში თეთრი დროშები უნდა იშოვნონ. ვინც თეთრს დროშას ააფრიალებს, ჯარი დაიცავს. ვისაც დროშა არ ექნება, ან ევროპიელებს ავნებს რასმე, სიკვდილით დაისჯება. თუ ვინმე რეგენტს, იმპერატორს, ან იმპერატრიცას მოგგვრის, საჩუქრად 200 ათას მანათს მიიღებს. ვინც თავად წინდანს, თსაიზეს და სხვათ დაიჭერს—20,000 მან. მიიღებს. ვინც იმპერატორის სასახლეს დაანგრევს 100 ათას მანეთს მიიღებს. თუ როგორიმე მოხელე თანამდებობას ჩაგვაბარებს, იმასაც ლმობიერად მოვექცევით. ხელს აწერს ვანგი.

მიუხედავად თიანძინის პეკინთან სიახლოვისა, მცხოვრებთ მაინც სჯეროათ პროგრამის ასრულების შესაძლებლობა და თეთრს დროშებს იძენენ.

ხუნხუზების შიში.

სახალინის ვაჭრებს ეშინიათ, ვაი თუ ციციკარის გზაზე მოთარეშე ხუნხუზებმა, რევოლუციით წაქეზებულებმა, სახალინზე დაცემა და ძარცვა-გლეჯა მოინდომონო. აქაური ჯარი სანდობათ არ მიაჩნიათ.

ამავე აზრისანი არიან სახალინში მცხოვრებნი იაპონელნი.

ვაჭრებმა თათბირი გამართეს და გადასწყვიტეს ბლაგოვეშჩენსკის მთავრობას მიმართონ და დახმარება სთხოვონ.

იტალიისა და ოსმალეთის ომი

დეპეშები.

23 ნოემბერი.

სოფია. სტამბოლიდან იუწყებიან, ოსმალნი დარდანელთან დიდ მზადებაში არიანო. ყოველ დღე ჯარი და სურსათი მოდის. ზარბაზნებიც ბევრი მოაქვთ. სრუტეში ოსმალთა ფლოტი არის, 11 გემისაგან შემდგარი. სულ სრუტესთან მოგროვილ ჯარის რიცხვი 20 ათასი კაცია.

ტრიპოლი. ბედსაცა 342 ხმით 110 წინააღმდეგ მაროკოს მოდაბარაკების ვითარების გამოძიებას მოსთხოვა მთავრობას. მთავრობამ ჯარი სთქვა და ნდობის საკითხი წამოაყენა.

ბუქარესტი. სენატმა მეფეს ადრესი მიართვა და აზრი გამოსთქვა, მთავრობას დაეხმარებით ადმინისტრაციის დეცენტრალიზაციის საქმეშიო.

ბერლინი. სამეტადურგიო ქარხანათა მუშების გაფიცვა გათავდა.

მექსიკა. ოდე იუნიტანის აჯანყებულთა მეთაური ჭომეტი, რომელიც ქალაქიდან პრეზიდენტის ქალაქის მიხედვით გაუშვეს, კაზაში ისევ დაიჭირეს.

რუსეთი.

იალტა. სუხომლინოვი მოვიდა.

პეტერბურგი. ფულის სიჭრელ ქარხანაში დღეს აფეთქება მოხდა სახლის სახურავი აიტაცა, ჭერი ჩამოწვა. 9 მუშა ძალიან დაშავდა.

შინაგან საქმეთა მინისტრი დაბრუნდა.

კიევი. სამხრეთის რკინის გზებზე ქარბუქის გამო მატარებლები აგვიანებენ.

თეატრი და ხელოვნება

სახალხო სახლი. დღეს წარმოდგენილ იქმნება ქართულად ნახალი ორი გინალური პიესა ს. ჟანტურის „ვილისა „მორევში“ სახალხო სახლში ქართულ წარმოდგენების მმართველმა წრემ ამ პიესისთვის საგანგებოდ ახალი დეკორაციები დაახატვინა.

გამოსადეგი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა

ზამთრობით (15 ოქტომბრიდან 1911 წ.)

(დრო ტფილის. საათითაა ნაჩვენები, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წ. არის წინა).

ტფილისიდან გადის:

ბათუმისაკენ: 1) სამგზავ. მატარებ. № 7, II—III კლ. საღ. 10 ს. 38 წ., კორში 1 ს. 25 წ., ზინაილოვში 3 ს. 8 წ., რიონში დილ. 7 ს. 52 წ., ბათუმში 1 ს. 42 წ.

2) სამ. გზ. მატარ. N 5. I—III კლას. საღ. 5 ს. 45 წ., კორში 8 ს. 24 წ., ზინაილოვში 9 ს. 51 წ., რიონში 1 ს. 54 წ., ბათუმში დილის 6 ს. 26 წ. 3) საფოსტო მატ. დილ. 9 ს. 50 წ., კორში 12 ს. 27 წ., ზინაილოვში 1 ს. 56 წ., რიონში დილ. 6. 17 წ., ბათუმში 11 ს. 13 წ.

ბაქოსაკენ: 1) ჩქარი მატარ N 2 I—III კლ. დილ. 10 ს. 20 წ., განჯაში 3 ს. 18 წ., ბალაჯარაში ღამ. 11 ს. 16 წ., ბაქოში 11 ს. 43 წ. 2) სამგზ. მატარ. № 6, I—II კლ. დღ. 3 ს. 38 წ., განჯაში ღამ. 9 ს. 46 წ., ბალაჯარაში დილ. 7 ს. 34 წ. ბაქოში 8 ს. 11 წ. 3) საფოსტო მატ. N 4, I—III კლ. ღამ. 11 ს. 18 წ., განჯაში 5 ს. 29 წ., ბალაჯარაში დღ. 3 ს. 30 წ., ბაქოში 4 ს. 42 წ. 4) მერეულ. მატარ. № 106, IV—III კლ. დილ. 5 ს. 32 წ., განჯაში 2 ს. 57 წ., ბალაჯარაში დილ. 5, ს. 58 წ. ბაქოში 7 ს. 12 წ.

ბორჯომისაკენ: 1) სამგზ. მატარ. N 9/66, I—III კლ. დღ. 3 ს. 23 წ., ბორჯომში 9 ს. 2 წ.

ჯულფასა და ერევნისაკენ: 1) საფოსტო მატ. N 74/75, I—III კლას. საღ. 11 ს. 48 წ. ჯულფაში მეორე დღის საღ. 11 ს. 10წ. 2) სამგზ. - ხაქონლ. მატარ. N 78—79, II—III კლ. დღ. 5 ს. 34 წ., ერევანში დილ. 11 ს. 6 წ.

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან: 1) სამგზავ. N 6, I—III კლ. 2 ს. 50 წ. საფოსტ. N 4, I—III კლ. დილ. 10 ს. 28 წ., 3) სამგზ. N 8, II—III კლ. დილ. 5 ს. 33 წ.

ბაქოდან: 1) სამგზ. N 5, I—III კლ. საღ. 5 ს. 7 წ. 2) საფოსტო N 3, I—III კლ. დილის 8 ს. 54 წ. 3) ჩქარი N 1, I—III კლას. ღამ. 9 ს. 56 წ. 4) მერეული N 107. IV—III კლ. ღამ. 9 ს.

ერევან-ჯულფიდან: საფოსტო N 72/73, I—III კლ. 8 ს. 25 წ., 2) სამგზ.-ხაქონლ. N 80/81, II და III კლ. დღ. 1 ს. 40 წ.

ბორჯომიდან: სამგზავრო № 61/10, I—III კლ. დილ. 8 ს.

ფეხითვლები: 1) გადაუჯდომლად პირდაპირი მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის 1 და მგ-2 მატარებელს მიხდგებ, ზოლო კავკასიის მატ. მე-5 და მგ-6. ყველა ვაგონები პლაცკარტითაა (საკუთარ. საწოლებითა).

განცხადებანი

გამოცდილი მასწავლებელი ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელებს მეცადინეობას მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. ამზადებს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლისთვის **პირობებით:** სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სავაჭრო სასწავლებლისთვის, სატყნიკო, საფერშლო, სამოქალაქო და სასულიერო სასწავლებლისთვის. აგრეთვე საბები ინსტიტუტისათვის, ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე.** ყველა კლასის **ჩანახთვის.** ლებულობს ანბანის უცოდინარ ქალ. ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად, 2) ვერაზე, 3) ვაგზალზე. მონაწილეობას მიიღებენ მასწავლებლები მცოდნენი სხვა და სხვა ენებისა და საგნებისა. მეცადინეობა დაიწყება დილის 8 საათზე და გაგრძელდება საღამოს 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა, მიიღებენ სრულ **ხარჯზედაც, პანსიონში.** მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ-დღე, სანამ შეივსებიდეს ადნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв. 1 (около памяти. Воронцову), спросить учителя. (т. 1084.28)

НИВА еженедѣльный иллюстрированный журналъ. ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1912 г. ПОДПИСЧИКИ ПОЛУЧАТЪ:

52 №№ журнала: романы, повѣсти, разск., картины, рис. въ краскахъ, иллюстраціи соврем. событій.

52 КНИГИ, отпечатанныя четкимъ шрифтомъ, въ которыя войдетъ:

12 книгъ ЕЖЕМѢСЯЧНАГО ЖУРНАЛА ЛИТЕРАТУРНЫЯ и ПОПУЛЯРНО-НАУЧНЫЯ ПРИЛОЖЕНІЯ.

40 книгъ „СБОРНИКА НИВЫ“, содержащихъ:

ПОЛНОЕ СОБРАНІЕ СОЧИНЕНІЙ Н. Г. ПОМЯЛОВСКАГО.

ПОЛНОЕ СОБРАНІЕ СОЧИНЕНІЙ А. И. КУПРИНА.

ПОЛНОЕ СОБРАНІЕ СТИХОТВОРЕНІЙ А. А. ФЕТА.

ПОЛНОЕ СОБРАНІЕ СОЧИНЕНІЙ Оск. УАЙЛЬДА.

12 №№ „Ежемѣсячныхъ Портновскихъ Модъ“. 12 ЛИСТОВЪ выкроекъ и рисунк. рукодѣльн. работъ.

1 „ОТРЫВНОЙ ЕЖЕМѢСЯЧНЫЙ КАЛЕНДАРЬ“ на 1912 г.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА „НИВЫ“ со всѣми приложеніями на годъ: безъ доставки: въ СПБ.—6 р. 50 к., въ Москвѣ, у Печковской 7 р. 25 к., въ Одессѣ, „Образованіе“ 7 р. 50 к.; съ дост. въ СПБ.—7 р. 50 к., съ пересылкою—во всѣ мѣста Россіи—8 р. За границу—12 р.

Разсрочка платежа въ 2, 3 и 4 срока. Иллюстрирован. объявл. о подпискѣ высылается безплатно.

Адресъ: С.-Петербургъ, въ Контору журнала „НИВА“, улица Гоголя, № 22.

Метцль 130724. (1—1604—1)

დოქტ. ნავასარდიანისა

ჯოგედ დღე, კვირეებს გარდა

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

დილით:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

ე. ბ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა ცხვირისა და ყელისა.

მ. ბ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., ხაზ. და ქირურგ.

ა. მ. ბუგანოვი. 12—1 ს. შინაგანი ბავშვებისადა ყვავილის აცრა.

ქალ. ექიმ. ბ. ს. ზილბერშაცი: 12 ნახ.—1 ს. საბებ., ქალ. და ბავშვებისა.

ბ. ი. გურგენოვი: 1—1 ნახ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ა. ბ. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგან. და სიბაბუშვო.

ბ. ბ. აგასაროვი: 9—10 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

საღამოთი

ქალ. ექ. ბ. ს. ზილბერშაცი: 6—6 ნახ.-ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

მ. ბ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.

11—12 ს. **606** ფასლოგა, **კონსულტაციურად.**

რჩევა 50 კ. დარიბებს უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით

ხამკურნალოს დირექტორი მედიცინის

დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

(ტ. (1168—190)

სამოგბიარო თავშესაფარი

მ. ი. კრემერ

ნიკოლოზის ქუჩა, № 47. ორსულ დ მმზბიარე მანდილოსანთა მიღება ყოველ დროს, დღისით და ღამით. მიიღებიან ქალთა სნეულებისა და ხაბეგინე ხაქმისათვის. განინჯვა და შემოწმება ძიძებისა და მოახლეებისა; ყვავილს უფრ ს ყოველ დღე ნაშუადღევის 1—2 საათამდე თავშესაფარის გამგე დოქტორი-მედიცინისა.

(26—913—17) ი. ბ. კალამკაროვი.

სტუდენტი ფილოლოგი ამზადებს მოწაფეებს გიმნაზიისათვის, რეალურ სასწავლებლისათვის, სამხედრო და მიწის მზომელთა სასწავლებელთათვის, ტექნიკურ ინსტიტუტისა და ხემინარიისათვის, სამოქალაქო და სატყნიკო სასწავლებელთათვის, მასწავლებლებისა და აფთიაქის მოწაფის წარისხნე I და II კლ. ჩინზე და ხრ. ფასი 10 მან. **დაწყებული.** პირადად მოლაპარაკება 4—7 საათამდე.

მისამართი: 1-ლი თუმანოვის ქუჩა, N 5, პინა კულიჯანოვისა, ზემო სართულში. (25—1602—2)

აგენტი

მ. ა. გაქონია

ფეშულოს განცხადებებს როგორც ადგილობრივ, ისე სატარტო ქალაქების გაზეთებისათვის. განცხადების შემგროვებელ აგენტად ლ. ე. მეტალნიკა და ამბ. და საქიფიოენერო ხაზზე. „ანოხასა“ რკინის გზის სადგურებზე, გემებზე და ტრამვაებზე პლაკატების გაკვრის ხაქმეში.

მისამართი: ტფილისი, სახტუმრო „ეგზერიალი“, კიროჩნისა და მიზგოლის პრეზა, კუთხე; ტელეფონი—N 925.

მიღება ყოველ დღე დილის 8—9 ს. და საღამოს 4—5½ საათამდე.

გამოვიდა და იყიდება

თხზულებანი:

არჩილ ჯორჯაძისა:	ტ. I. „ეროვნულ პრობლემის გარშემო“,	ფ. 75 კ.
„ „	ტ. II. „ჩვენი ხასოგადოებრივობა“.	ფ. 80 კ.
„ „	ტ. III. „ნაბიჯები“	ფ. 65 კ.
„ „	ტ. IV. წერილები „ცნობის-ფურცელ-მოამბეში“, 1901—1902 წ.	ფ. 85 კ.
Batoni-ისა:	„ერი და კავიტრობა“	ფ. 1 ს. 20 კ.
ვ. ყიფიანისა:	„ხამგრეელოს მთავარი ლევან“, ისტ. დრამა	ფ. 40 კ.
ნ. ფიუკაფვილისა:	„მეგობრობა“, 4 მოქმ. დრამა	ფ. 30 კ.

ყველა ამ წიგნების შეძენა შეიძლება სხვათა შორის ქ. შ. წ. კ. გ. ს წიგნის მაღაზიაში, ტფილისში და ქუთაისში კვიცარიძისა და მთავრიშვილის წიგნის მაღაზიებში.

ფრანგთა უსახელო საზოგადოება კავკასიაში

საავტომობილო მიმოსვლისა.

ზამთრობით მიმოსვლა ავტომობილით

1911 წ. 2 (15) ნოემბრიდან

—◀ ბორჯომსა, ახალციხესა და აბასთუმანს შუა. ▶—

ბორჯომიდან გადის **ახალციხისკენ** ყოველ დღე, სალამოს 4 საათზე. **ახალციხიდან** — **ბორჯომისკენ** დილის 9 საათზე. კვირაში ერთხელ, **პარასკევობით,** ავტომობილი ივლის **აბასთუმნამდე,** ხოლო მეორე დღეს, შაბათს, უკანვე დაბრუნდება—დილის 8 საათზე, გაივლის **ახალციხეს**—დილის 9 საათზე.

ფასი:

ბორჯომ-აბასთუმანი	5 მან.
ბორჯომ-ახალციხე	3 „
ახალციხე-აბასთუმანი	2 „

ბარგი ყოველ ფუთზე—50 კაპ. (24—1581—7)

„ს.-პეტერბურგის საქიმიო ლაბორატორია“.

1860 წ. დაარსებული.

ვურჩევთ იყიდონ სულ ახლად გამოსული გასასყიდად

პარიზი 1900. ყვავილის ო-დე-კოლონი,

„საუცხოვო აკაცია“,

„ნუ დამივიწყებ“,

„ზიბლავი ხუმბული“.

თავისებური ძლიერი, საუცხოო და ხანგრძლივი ხურნედება.

✦ უმაღლესი ღირსებისა. ✦

HIMICHESKAYA LABORATORIYA S. PETERBURGSKAYA

მთავარი საწყობი: ტფილისი, საოფთიაქო საქონლით მოვაჭრე კავკასიის ამხანაგობა. (23—1292—13)

სტამბა „სიარაბანი“, ზადათოვის კუნძული.

რედაქტორ-გამომცემელი ნ. ჯუღაშვილი.